

# საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ხელმისაწვდომობის კვლევა პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში

## საკანონმდებლო ჩარჩო

### პენიტენციური სისტემა

კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა რეაბილიტაცია სასჯელის, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის უმთავრესი მიზანია. საერთაშორისო დონეზე განსაზღვრულია სხვადასხვა სახის სტანდარტები, რომლებიც საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების მნიშვნელობას და მათი ეფექტურად ორგანიზების საკითხებს შეეხება. ასეთი სახის დოკუმენტები არსებობს, როგორც რეგიონალურ (ევროპის საბჭო), ასევე საერთაშორისო დონეზე (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია). საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გარკვეული რეგულაციები გვხვდება ასევე ადგილობრივი კანონმდებლობის დონეზეც. დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების შედარებითი ანალიზს, იმის განსაზღვრას, თუ რამდენად არის ასახული სტანდარტები ქართულ კანონმდებლობაში. ზოგადად, საინტერესოა იმ ხარვეზების დადგენა ადგილობრივ კანონმდებლობაში, რომლებიც ხელს უშლის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის ეფექტურად ორგანიზებას.

საერთაშორისო სტანდარტებში პრინციპების დონეზე ხაზგასმულია, რომ ნებისმიერი ფორმით თავისუფლება აღკვეთილ ადამიანს უნდა მოეპყრან მისი უფლებების სრული პატივისცემით, აკრძალული უნდა იყოს ყოველგვარი დისკრიმინაციული მიდგომა. ციხის პირობები არ უნდა იყოს ღირსების შემლახავი და ციხეში ცხოვრება შეძლებისდაგვარად უნდა უახლოვდებოდეს საზოგადოებაში ცხოვრების პოზიტიურ ასპექტებს. მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი თავისუფლება აღკვეთილ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესს<sup>1</sup>.

პატიმრებთან ურთიერთობა მიზნად უნდა ისახავდეს მათი საზოგადოებასთან ინტეგრირების მცდელობას სოციალური რეაბილიტაციის გზით<sup>2</sup>. ამ პრინციპების ცხოვრებაში გატარება მოითხოვს პატიმრებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას და კლასიფიცირების მოქნილი სისტემის არსებობას<sup>3</sup>. გარდა ამისა, კონკრეტულად გაეროს სტანდარტებში ხაზგასმულია, რომ სასურველია, დაწესებულებაში განთავსდეს მხოლოდ იმდენი პატიმარი, რომ მათ მიმართ გამოყენებულ იქნეს

<sup>1</sup> ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.1-9 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.6

<sup>2</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წ.61

<sup>3</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წ.61 (1)

ინდივიდუალური მიდგომა. ზოგიერთ ქვეყანაში ითვლება, რომ ამგვარი დაწესებულებების კონტინგენტის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 500 კაცს<sup>4</sup>.

პატიმრებს, მათი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამებზე<sup>5</sup>. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოთ იმ პირებს, ვისაც არ აქვს მიღებული საბაზისო განათლება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა და სპეციალური საჭიროებების მქონე პირებს. ახალგაზრდებისთვის საბაზისო განათლების მიღება უნდა იყოს სავალდებულო. პატიმართა განათლების სისტემა უნდა იყოს ინტეგრირებული ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემასთან. ყველა დაწესებულებას უნდა გააჩნდეს სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილი იქნება სხვადასხვა სახის, მათ შორის სამართლებრივი და რელიგიური ლიტერატურით. პატიმრებს, ასევე უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა პერიოდულად ჩაერთონ სხვადასხვა სახის რეკრეაციულ და კულტურულ ღონისძიებებში.

ქართული კანონმდებლობა პრინციპების დონეზე სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, რომელიც განსაზღვრავს კანონმდებლობის მიზანს - „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია“<sup>6</sup>. ამასთან განსაზღვრულია, რომ საქართველოში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება ხორციელდება კანონიერების, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპებზე დაყრდნობით<sup>7</sup>. ქართული კანონმდებლობით სასჯელის ინდივიდუალიზაცია ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად არის აღიარებული.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, მიიღოს ზოგადი და პროფესიული განათლება, მონაწილეობდეს სპორტულ, კულტურულ, აღმზრდელობით და რელიგიურ ღონისძიებებში და ისარგებლოს სარეაბილიტაციო პროგრამებით<sup>8</sup>. გარდა ამისა, პატიმრობის კოდექსში ჩამოყალიბებულია ცალკე თავი, რომელიც არეგულირებს განათლებისა<sup>9</sup> და რეაბილიტაციის<sup>10</sup> ორგანიზების საკითხებს.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია, შექმნას პირობები, რათა ბრალდებულებმა/მსჯავრდებულებმა მიიღონ ზოგადი და პროფესიული განათლება<sup>11</sup>. ზოგადი განათლების მიწოდება უნდა ხორციელდებოდეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით<sup>12</sup>.

ქართული კანონმდებლობა განსაზღვრავს ასევე პროფესიული განათლების მიღების საკითხებს. კერძოდ, განსაზღვრულია, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის უნდა შეიქმნას პროფესიული განათლების მიღების პირობები<sup>13</sup>, ხოლო პროფესიული განათლების შედეგად მიღებულ კვალიფიკაცია უნდა დადასტურდეს საატესტაციო

<sup>4</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წ.61 (1)

<sup>5</sup> ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.28.1-28.7 / 106.1 -106.7 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.40, 77

<sup>6</sup> პატიმრობის კოდექსი, მ. 1 (1)

<sup>7</sup> პატიმრობის კოდექსი, მ. 1 (2)

<sup>8</sup> პატიმრობის კოდექსი, მ.14

<sup>9</sup> პატიმრობის კოდექსი, თავი XVIII

<sup>10</sup> პატიმრობის კოდექსი, თავი XIX

<sup>11</sup> პატიმრობის კოდექსი, მ. 113 (1)

<sup>12</sup> პატიმრობის კოდექსი, მ. 114

<sup>13</sup> პატიმრობის კოდექსი, მ. 115 (1)

ორგანო „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად<sup>14</sup>.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პატიმრობის კოდექსში მოცემულია ცალკე თავი, რომელიც შეეხება სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზების საკითხებს. ამ ნაწილში მითითებულია, რომ - „მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებელი წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება“<sup>15</sup>. აქვე მითითებული რესოციალიზაციის საშუალებები<sup>16</sup> და ჩამოყალიბებულია საკითხები, თუ რისი მიხედვითაც უნდა მოხდეს შესაბამისი პროგრამების შერჩევა. კერძოდ ვკითხულობთ, რომ - „მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საშუალებები გამოიყენება დანიშნული სასჯელის სახის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნების, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ქცევის გათვალისწინებით“<sup>17</sup>, ასევე - „მსჯავრდებულთან სარეაბილიტაციო მუშაობა ტარდება მისი პიროვნული თვისებებისა და ჩადენილი დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით“<sup>18</sup>.

აღნიშნული ჩანაწერები, შეიძლება ითქვას, პირდაპირ პასუხობს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპებს, რაც განსაზღვრულია, როგორც პატიმრობის კოდექსში პრინციპების დონეზე, ასევე ხაზგასმულია საერთაშორისო სტანდარტებშიც.

გარდა ამისა, პატიმრობის კოდექსში მითითებულია ასევე, რომ დაწესებულების დღის განრიგი<sup>19</sup> უნდა ითვალისწინებდეს სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულთა მონაწილეობის დროს და სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებისათვის დაწესებულებაში უნდა იქმნებოდეს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა<sup>20</sup>.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს ყოველდღიურად, მინიმუმ, ერთი საათი სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა<sup>21</sup>. ყველა დაწესებულებაში უნდა არსებობდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ინვენტარი პატიმრების სპორტულ აქტივობებში ჩართვის მიზნით. ადგილობრივი სტანდარტების შესაბამისად პატიმრებს ასევე აქვთ შესაძლებლობა, დღეში, მინიმუმ, 1 საათი გაატარონ სუფთა ჰაერზე<sup>22</sup> და ჰქონდეთ სპორტულ აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობა<sup>23</sup>.

როგორც უკვე ვნახეთ, საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც შეეხება საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებას, ასახულია ქართულ კანონმდებლობაში და ძირითადად – კანონის დონეზე. თუმცა კანონი, ისევე როგორც საერთაშორისო სტანდარტები, განსაზღვრავს მხოლოდ ზოგად პრინციპებს და დებულებებს, ხოლო საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის ორგანიზებისთვის აუცილებელია უფრო დეტალური რეგულაციები, ინსტრუქციები და ინსტრუმენტები. სხვაგვარად ნორმატიულ აქტების, ზედა იერარქიის მაღალ

<sup>14</sup> პატიმრობის კოდექსი, მ. 115 (3)

<sup>15</sup> პატიმრობის კოდექსი, მ.116 (1)

<sup>16</sup> პატიმრობის კოდექსი, მ.116 (2)

<sup>17</sup> პატიმრობის კოდექსი, მ.116 (3)

<sup>18</sup> პატიმრობის კოდექსი, მ.118 (5)

<sup>19</sup> პატიმრობის კოდექსი, მ.118 (3)

<sup>20</sup> პატიმრობის კოდექსი, მ.118 (6)

<sup>21</sup> ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.27.1-27.7 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.21

<sup>22</sup> პატიმრობის კოდექსი, მ. 25

<sup>23</sup> პატიმრობის კოდექსი, მ. 15 (1, ბ)

საფეხურზე არსებული ნორმები დარჩება დეკლარაციულ დონეზე, რომლის პრაქტიკაშიც განხორციელებაც საკმაოდ რთული იქნება.

პენიტენციური სისტემაში კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც არეგულირებს ძირითად საკითხებს პენიტენციურ სისტემაში, არის - სასჯელადსრულებისა, პრობაციის მინისტრის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N97 ბრძანება<sup>24</sup> - პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრის დებულებების დამტკიცების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სხვადასხვა საკითხებს, როგორც პატიმრობის, ასევე თავისუფლების აღკვეთის და პენიტენციურ სისტემაში არსებულ სამკურნალო დაწესებულებებში.

მიუხედავად ამ დოკუმენტის დიდი მოცულობისა, მასში საკმაოდ მწირედ არის ასახული ის პროცესები, რომლებიც უნდა არეგულირებდეს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზების წესს. უფრო მეტიც, უმეტესი ნორმები პირდაპირ გადმოტანილია პატიმრობის კოდექსიდან და არ არის უფრო დეტალურად გაწერილი. მაგალითად, პატიმრობის დაწესებულების დებულების 21-ე მუხლში, სადაც საუბარია ბრალდებულის დაწესებულებაში ყოფნის პირობებზე განმარტებულია, რომ - „ბრალდებულს დაწესებულებაში ყოფნისას უფლება აქვს: ... (ე) მიიღოს ზოგადი და პროფესიული განათლება; ... (ვ) მონაწილეობა მიიღოს სპორტულ, კულტურულ, აღმზრდელობით და რელიგიურ ღონისძიებებში. არასრულწლოვან ბრალდებულს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს სპორტულ აქტივობებში კვირაში არანაკლებ 4 საათისა; ..(ზ) ეწეოდეს ინდივიდუალურ საქმიანობას და დაწესებულების ადმინისტრაციის კონტროლით“. აღნიშნული ნორმა, გარდა ერთი გამონაკლისისა, რომელიც ეხება ბრალდებულ არასრულწლოვანთა სპორტულ აქტივობებში ჩართვის საკითხს, პირდაპირ იმეორებს პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლში ასახულ ფორმულირებებს.

იგივე შეიძლება ითქვას N97 ბრძანების იმ ნაწილზე, რომელიც ეხება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულებას, კერძოდ, 22-ე მუხლში არის შემდეგი ფორმულირება - „მსჯავრდებულს უფლება აქვს: (ა.ვ) მიიღოს ზოგადი და პროფესიული განათლება; ... (ა.ზ) მონაწილეობა მიიღოს სპორტულ, კულტურულ, აღმზრდელობით და რელიგიურ ღონისძიებებში; ... (გ) ეწეოდეს ინდივიდუალურ საქმიანობას და დაწესებულების ადმინისტრაციის კონტროლით იქონიოს ამისათვის საჭირო ინვენტარი“.

გარდა ამისა, N97 ბრძანებაში, პატიმრობის დაწესებულების დებულების 56-ე მუხლი (ბრალდებულთა განათლება), თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების 64-ე მუხლი (მსჯავრდებულთა განათლება), 65-ე მუხლი (მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია), 66-ე მუხლი (მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამების ამოცანები), 67-ე მუხლი (მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზება) არის, ფაქტობრივად, პატიმრობის კოდექსის 113-118 მუხლების პირდაპირი ფორმულირებები.

დაწესებულებების სტრუქტურაში არსებული სოციალური სამსახური არის ძირითადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უნდა იყოს პასუხისმგებელი საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებაზე. N97 ბრძანებაში, როგორც პატიმრობის

<sup>24</sup> შენიშვნა - 2014 წლის გაზაფხულზე ცვლილებები განხორციელდა პატიმრობის კოდექსში. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, კანონის ამოქმედებიდან 6 თვის განმავლობაში მინისტრმა უნდა გამოსცეს ახალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომელთა მიხედვითაც ასევე შესაძლოა დარეგულირდეს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზების საკითხი სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებში. კვლევის პერიოდში ასეთი სახის ნორმატიული აქტები არ იყო გამოცემული.

დაწესებულების ნაწილში<sup>25</sup>, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულებაში<sup>26</sup> და სამკურნალო დაწესებულებების დებულებებში<sup>27,28</sup> მოცემულია სოციალური სამსახურის ფუნქციები, სადაც საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზების ნაწილში განსაზღვრულია ამ სამსახურის შემდეგი ამოცანა - ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ზოგადი და პროფესიული განათლების უზრუნველყოფა, მათთვის საბიბლიოთეკო მომსახურების გაწევა, დახმარების გაწევა იმ ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის, ვინც იღებს ზოგად განათლებას, სწავლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ან ექსტერნატის ფორმით სურს ზოგადი განათლების მიღება.

ფაქტობრივად, სოციალური სამსახურის ფუნქციაში, რომლის ძირითადი საქმიანობაც უნდა იყოს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზება, ზოგადი ჩანაწერების გარდა, არ გვხვდება დეტალურად ჩამოყალიბებული პროცესი, სადაც უნდა იყოს ასახული ამ მიზნის მისაღწევად გადასადგმელი კონკრეტული ნაბიჯები.

სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის N97 ბრძანებაში ასახულია ასევე ქალ<sup>29</sup> და არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მოპყრობის თავისებურებები<sup>30</sup>, სადაც ჩამოყალიბებულია კონკრეტული ფუნქციები, რომლებიც საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზების თავისებურებებს ეხება, განსაკუთრებით არასრულწლოვანებთან მიმართებაში. თუმცა აღნიშნული ნორმები, არის ასევე პატიმრობის კოდექსის<sup>31</sup> შესაბამისი მუხლების ზუსტი ფორმულირებები.

საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების სწორად დაგეგმვის მიზნით აუცილებელია განისაზღვროს კონკრეტული პირის ინდივიდუალური საჭიროებები სპეციალური ინსტრუმენტების გამოყენებით, ხოლო ამ საჭიროებების საფუძველზე უნდა მოხდეს კონკრეტული საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების შეთავაზება პირისთვის. აღნიშნული საკითხები, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მითითებულია საერთაშორისო სტანდარტებში<sup>32</sup>. უნდა იყოს გაწერილი ამ პროცესის განხორციელების ეტაპები, განისაზღვროს კონკრეტულ სპეციალისტთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები, ვისაც ევალება ამ პროცესის ორგანიზება.

2012 წლის 2 თებერვალს, სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მიერ გამოცემულ იქნა ბრძანება N19 - სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის თაობაზე. აღნიშნული ბრძანების თანახმად - სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა წარმოადგენს რესოციალიზაციის მიზნით კონკრეტული არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის ინდივიდუალურად შედგენილ ღონისძიებათა ერთობლიობას. ამავე ბრძანებაში მოცემულია სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი, რომელიც მოიცავს რისკებისა და საჭიროებების შეფასების ნაწილს, მულტიდისციპლინური გუნდის (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ექიმი, მასწავლებელი) თითოეული წევრის ფუნქციებს და ზოგადად რეაბილიტაციის/რესოციალიზაციის განხორციელების პროცესს. ამ ბრძანების თანახმად

<sup>25</sup> N97 ბრძანება, პატიმრობის დაწესებულების დებულება, მ.9

<sup>26</sup> N97 ბრძანება, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულება, მ.9

<sup>27</sup> N97 ბრძანება, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დებულება, მ.12

<sup>28</sup> N97 ბრძანება, ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრის დებულება, მ.12

<sup>29</sup> N97 ბრძანება, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულება, მ.89-91

<sup>30</sup> N97 ბრძანება, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულება, მ.92-104

<sup>31</sup> პატიმრობის კოდექსი, მ.67-72

<sup>32</sup> ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.16/ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წ.63 (1)

ახსოლუტურად განსხვავებულია სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის ფუნქციები<sup>33</sup>, რომლებიც ძირითადად ორიენტირებულია სარეზილიტაციო პროცესის ორგანიზებაზე.

სასჯელადსრულების დეპარტამენტის მიერ, შესაბამისი თხოვნის საფუძველზე წარმოდგენილ იქნა პენიტენციურ სისტემაში სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის ფუნქციონალური უფლებამოვალეობების ზოგადი ნიმუშები. იხილეთ:

## სოციალური განყოფილების ფუნქციონალური მოვალეობები

### სოციალური განყოფილების მუშაკი:

- სოციალური მუშაკი მიმაგრებული იქნეს დაწესებულების პირველი (E1-E3 ფლიგელები) სარეჟიმო კორპუსის 1-დან 45-ის ჩათვლით საკნებში განთავსებულ მსჯავრდებულებთან, სოციალური უზრუნველყოფის ფარგლებში სოციალური მომსახურების გაწევის მიზნით, მათ შორის:
- საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და მათ ახლო ნათესავების მიღებას მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით, უწევს მათ შესაბამის კონსულტაციას;
- ასრულებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა აღმზრდელობით სამუშაოებს, რომლებიც ხასიათდებიან აღქმის სუსტი უნარებით;
- კოსულტაციას უწევს მსჯავრდებულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შედეგათების გავრცელების და მათი გამოყენების თაობაზე;
- ახორციელებს ინდივიდუალური საუბრებს, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სოციალური მდგომარეობის და გათავსუფლებისათვის მომზადების პროცესში, მათი ოჯახებში რეინტეგრაციისა და საზოგადოებაში რესოციალიზაციის მიმართულებით;
- აცნობს ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, უზრუნველყოფს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა, ასევე მათი ახლო ნათესავების უფლებების დაცვას და უფლებების განხორციელების შესაძლებლობას;
- ახორციელებს შესაბამის საქმის წარმოებას მსჯავრდებულთა წახალისების მიზნით;
- ეხმარება მსჯავრდებულებს პირადი და ოჯახური პრობლემების გადაჭრაში;
- ამოწმებს დაწესებულებაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ მოპყრობას, მათ ყოფით პირობებს;
- ორგანიზაციას უწევს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმოწერის პროცედურებს;
- ახორციელებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა, მოქალაქეთა განცხადებისა და საჩივრების განხილვას და განხილვის შედეგების შეტყობინებას, კოორდინაციის გაწევას და მათზე რეაგირებას;
- უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა პროფესიული განათლების მიღებას, მათთვის საბიბლიოთეკო მომსახურების გაწევას, უწევს დახმარებას იმ მსჯავრდებულებს, ვინც ექსტერნად სწავლობს პროფესიულ ან უმაღლეს სასწავლებლებში;
- ახორციელებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ დაწესებულების დროებით დატოვების, დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის საქმისწარმოებას და დახასიათებების შედგენას;
- აწარმოებს მოშიმშილე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შესაბამის მუშაობას;
- ამზადებს მასალებს (დახასიათების შედგენა ინტერვიუების საფუძველზე, დახასიათების შედგენამდე ერთი კვირით ადრე მსჯავრდებულს განუმარტავს ჯარიმის დაკისრების, ჯარიმის გადახდის, დაზარალებულისთვის ზიანს ანაზღაურების და დაზარალებულის პოზიციის თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის საჭიროებას და მნიშვნელობას) მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განსახილველად;
- მსჯავრდებულთა შრომითი საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, სასჯელადსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მიმართ ამზადებს მსჯავრდებულთა წარდგინებასა და დახასიათებას;
- კონტროლს უწევს შეწყალების საკითხის განხილვის თაობაზე მიღებული მოთხოვნის შესაბამისად, მსჯავრდებულთა დახასიათებების დადგენილ ვადაში მომზადებას, ამზადებს ოქმს შეწყალების საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების (უარის) მსჯავრდებულისთვის გაცნობის შესახებ;
- წარუდგენს ანგარიშს დაწესებულების სოციალური განყოფილების უფროსს დადგენილ ვადებში;

<sup>33</sup> სასჯელადსრულებისა, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N19 - სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის თაობაზე, მ.6

- ასრულებს დაწესებულების დირექტორის, დირექტორის მოადგილის, განყოფილების უფროსის მითითებებს, დავალებებს და ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

---

### ფსიქოლოგის ფუნქციონალური მოვალეობები

სოციალური განყოფილების ფსიქოლოგს დაევალოს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური შეფასება, კონსულტირება და თერაპია მათი რესოციალიზაციის, რეაბილიტაციის, ადაპტაციის და დანაშაულის რეციდივის პრევენციის მიზნით. ფსიქოლოგი:

- ატარებს ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან პირველად ინტერვიუს;
- ახორციელებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირველად და პერმანენტულ სკრინინგს და ფსიქო-დიაგნოსტიკურ შეფასებას;
- ბრალდებულის/მსჯავრდებულის ფსიქო-სოციალური სკრინინგის და შეფასების შედეგად კონსულტირების ან/და თერაპიის საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში გეგმავს ინტერვენციის პროცესს;
- საჭიროებისამებრ ახორციელებს ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ფსიქო-სარეზილიტაციო, ფსიქო-თერაპიულ მუშაობას დადგენილი მეთოდოლოგიის გამოყენებით;
- აწარმოებს კონსულტირებაში მონაწილე ყველა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ბენეფიციარის ფსიქოლოგიური შეფასების ბარათს;
- აწარმოებს მსჯავრდებულთან ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ კონსულტირებას ან/და ფსიქო-თერაპიას;
- იცავს ფსიქოლოგთა საერთაშორისო კოდექსს;
- იცავს ბენეფიციართა კონფიდენციალობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უქმნის საფრთხეს სხვის ან საკუთარ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას;
- ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ფსიქო-სადიაგნოსტიკო ან ფსიქო-სარეზილიტაციო მუშაობის პროცესში გამოვლენილი განსაკუთრებული რისკებისა და საჭიროებების შესახებ აცნობებს სოციალური განყოფილების უფროსს;
- საჭიროების შემთხვევაში ამისამართებს მსჯავრდებულს შესაბამისი პროფილის სპეციალისტთან;
- ამზადებს სასჯელადსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N82-ის, დანართი N18-ის ფსიქოლოგის მიერ მოსამზადებელ შესაბამის ნაწილს პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოსთვის წარსადგენად;
- წარუდგენს ანგარიშს დაწესებულების სოციალური განყოფილების უფროსს და სასჯელადსრულების დეპარტამენტის ფსიქოლოგს დადგენილ ვადებში;
- აწარმოებს შესაბამის სამუშაოს სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართულ პირთა მიმართ;
- ასრულებს დაწესებულების დირექტორის, დირექტორის მოადგილის, განყოფილების უფროსის მითითებებს, დავალებებს და ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

---

უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული დაწესებულების სპეციფიკის გათვალისწინებით ინდივიდუალური ფუნქციების განაწილება, როგორც წესი, განსხვავებული უნდა იყოს. ზოგადი

ფუნქციები, ზოგადი ნორმები რეგულირებული უნდა იყოს ნორმატიული აქტის დონეზე, რაც უნდა აძლევდეს დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს იმის შესაძლებლობას, რომ ამ ნორმების საფუძველზე დეტალურად გაანაწილოს ფუნქციები.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N97 ბრძანების თანახმად<sup>34</sup>, დაწესებულების დირექტორი - „ანაწილებს ფუნქციებს დაქვემდებარებულ მოსამსახურეებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და განკარგულებებს“. ამ ნორმიდან გამომდინარე, დირექტორს აქვს უფლებამოსილება, კანონმდებლობის საფუძველზე (პატიმრობის კოდექსი, მინისტრის N97 ბრძანება) გამოსცეს მხოლოდ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, თუმცა ამისთვის აუცილებელია ნორმატიულ აქტში არსებობდეს ზუსტი რეგულაციები, მითითებითი ნორმები, რომლებიც უფრო მეტად მისცემდა შესაძლებლობას, გარკვეული უფლებამოსილების დელეგირება და ფუნქციების მინიჭება განეხორციელებინა მის დაქვემდებარებაში მყოფი მოსამსახურეების მიმართ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი ჯგუფი, რომლის მიმართაც საკანონმდებლო დონეზე არის რეგულირებული რეაბილიტაციის დაგეგმვის პროცესი ინდივიდუალური მიდგომის გზით, არიან არასრულწლოვანი მსჯავრდებულები. სხვა მხრივ ჩვენ, უბრალოდ, გვხვდება, როგორც კანონის და ასევე კანონქვემდებარე აქტების დონეზე მხოლოდ ზოგადი, დეკლარაციული ხასიათის დებულებები, რაც სარეაბილიტაციო პროცესის ორგანიზებისთვის საკმარისი არ არის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პენიტენციურ სისტემაში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებაზე, ძირითადად, პასუხისმგებელია დაწესებულებაში არსებული სტრუქტურული ერთეული - სოციალური სამსახური, რომელიც დაკომპლექტებულია სოციალური მუშაკებით და ფსიქოლოგებით. გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვანია, არსებობდეს კონკრეტული გაწერილი ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები, რომლის მეშვეობითაც უნდა იმუშაონ ფსიქოლოგმა და სოციალურმა მუშაკმა, აუცილებელია, რომ ამ პროფესიონალებს გააჩნდეთ სათანადო ცოდნა და კვალიფიკაცია.

საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მოსამსახურის მიღების წესს არეგულირებს სხვადასხვა სახის ნორმატიული აქტები, კერძოდ - საქართველოს პატიმრობის კოდექსი, საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ და საქართველოს მთავრობის დადგენილება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის თანახმად - „სისტემის ორგანოში სამუშაოდ მიიღება საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს სამუშაო განათლება მაინც, ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და თავისი პიროვნული თვისებებით, განათლებით, ფიზიკური მომზადებითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლია შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები“<sup>35</sup>. ასევე აღნიშნულია, რომ - „პირი სისტემის ორგანოში სამუშაოდ მიღებისას, აგრეთვე სისტემის ორგანოს მოსამსახურე სამსახურში მიღების შემდეგ, დადგენილ ვადაში გადის სავალდებულო პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსებს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში“<sup>36</sup>. ასევე საკმაოდ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს შემდეგი ჩანაწერი - „სისტემის ორგანოში სამუშაოდ მიღების, სავალდებულო პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსების გავლის წესსა და

<sup>34</sup> ბრძანება N97, პატიმრობის დაწესებულების დებულება მ.3, პ.2(ბ) / თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულება მ.3, პ.2(ბ)  
<sup>35</sup> საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.12<sup>5</sup> (2)  
<sup>36</sup> საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.12<sup>5</sup> (5)



პირობებს, აგრეთვე იმ თანამდებობათა ჩამონათვალს, რომლებზედაც არ ვრცელდება ამ მუხლის მოთხოვნები, ადგენს მინისტრი“<sup>37</sup>.

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს თანახმად - „სამსახურში მიღების მსურველმა თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს უნდა წარუდგინოს: განცხადება; Curriculum Vitae (CV); განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა; პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა, ხოლო „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირმა – ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელი ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა I და II სიაში შეტანილი ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულების ნიშნებისა და ამ ნივთიერებათა ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების ფაქტის არარსებობა; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები“<sup>38</sup>. ამავე კანონის თანახმად - „სამსახურში მიღებასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები დგინდება კანონით ან მის საფუძველზე. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება შემოიღოს დაწესებულების ხელმძღვანელმა (დაწესებულებამ) ან ზემდგომმა უფროსმა“<sup>39</sup>. როგორც წესი, პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად<sup>40</sup>.

საქართველოს მთავრობის N137 დადგენილების თანახმად - „სისტემის ორგანოში სამუშაოდ მიიღება 18-დან 40 წლამდე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც იცის სახელმწიფო ენა და თავისი პიროვნული თვისებების, განათლების, ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, შეძლებს, შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობანი. 18 დან 21 წლამდე პირები მიიღებიან მხოლოდ უმცროსი სპეციალური წოდების მქონე თანამდებობებზე ... საქართველოს მოქალაქეთა სისტემის ორგანოში მიღება ხდება სპეციალური კონკურსის წესით ... სისტემის ორგანოებში სპეციალური კონკურსის ჩატარების წესს და პირობებს განსაზღვრავს მინისტრი ... უმცროსი და საშუალო სპეციალური წოდების მქონე თანამდებობებზე მიიღებიან საშუალო ან უმაღლესი განათლების მქონე პირები ... უფროსი და უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე თანამდებობებზე მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები ... კანდიდატი სამსახურში მიღებისას ან მოსამსახურე სამსახურში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში გადის სავალდებულო პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსებს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში. პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსების წესსა და პირობებს ადგენს მინისტრი“<sup>41</sup>.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, თუ რა სახის განათლება აქვთ პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულ ფსიქოლოგებსა და სოციალურ მუშაკებს. დეპარტამენტის მიერ მოწოდებული საკამაოდ მწირი ინფორმაციის თანახმად:

- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის განათლება შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
- ფსიქოლოგი - მაგისტრის ხარისხი ან მაგისტრთან გათანაბრებული, შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით და უნარ-ჩვევებით;

<sup>37</sup> საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.12<sup>5</sup> (8)

<sup>38</sup> საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მ.25

<sup>39</sup> საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მ.19

<sup>40</sup> საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მ.29

<sup>41</sup> საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.12<sup>5</sup> (8)

- **სოციალური მუშაკი - ბაკალავრის ხარისხი, შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით და უნარ ჩვევებით.**

სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგის თანამდებობები, როგორც წესი, არის უფროსი და უმაღლესი წოდების მქონე თანამდებობები, თუმცა შესაძლებელია მათი სამოქალაქო თანამდებობაზე დანიშვნაც. ორივე შემთხვევაში აუცილებელ პირობას წარმოადგენს უმაღლესი განათლების არსებობა პირისთვის, ვისაც ზემოაღნიშნული თანამდებობის დაკავება სურს.

სამწუხაროდ, კანონმდებლობის დონეზე ამ ეტაპზე არ არსებობს თანამდებობაზე დანიშვნის სავალდებულო კრიტერიუმი ფსიქოლოგების და სოციალური მუშაკებისთვის (ვინც, ძირითადად, პასუხისმგებელი არიან საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის ორგანიზებაზე) - უმაღლესი განათლება ფსიქოლოგის ან სოციალური სამუშაოს მიმართულებით. ერთადერთ სავალდებულო კრიტერიუმად აღნიშნულია **მხოლოდ უმაღლესი განათლება** და კანონმდებლობა ამ მხრივ არ ზღუდავს დამქირავებელს, სამსახურში აიყვანოს პირი, რომელსაც არ აქვს მიღებული შესაბამისი სპეციალიზაციით განათლება. ასეთი სახის რეგულაციების გამო, სამწუხაროდ სისტემაში ჩამოყალიბდა საკმაოდ მანკიერი პრაქტიკა - ხშირია შემთხვევები, როცა სოციალური მუშაკის/ფსიქოლოგის თანამდებობაზე ინიშნებიან პირები, ვისაც არ აქვს შესაბამისი განათლება.

ამ ფონზე ცოტა გაუგებარია, რას ეფუძნება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მტკიცება იმის თაობაზე, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის განათლება შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა ეს საკითხი არ ეხება სისტემაში დასაქმებულ ყველა ფსიქოლოგსა და სოციალურ მუშაკს, რასაკვირველია არსებობენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და განათლების მქონე პროფესიონალებიც, თუმცა მცირე რაოდენობით.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით განსაზღვრულია მოსამსახურეთა პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსების გავლის ვალდებულება, აღნიშნული კურსების ფორმატიდან გამომდინარე, იგი ვერ აღჭურავს პირს შესაბამისი ცოდნით, რასაც აძლევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. პროფესიული გადამზადები კურსების არსებობა მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, უკვე მიღებული ცოდნის გაღრმავების, შენარჩუნების და განმტკიცების მიზნით და არა საბაზისო ცოდნის მიღების თვალსაზრისით, რაც თითქმის შეუძლებელია მოკლევადიანი პროფესიული კურსების საფუძველზე.

**სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების გადამზადება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში 2012-1014 წლებში**

N	თემა	2012		2013		2014	
		სოც.მუშაკი	ფსიქოლოგი	სოც.მუშაკი	ფსიქოლოგი	სოც.მუშაკი	ფსიქოლოგი
1.	სოციალურ მუშაკთა გადამზადება	45					
2.	არასრულწლოვნებთან მოპყრობა	4	2				
3.	არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრა. წამების და არადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული სტანდარტები	11					
4.	ბანკოკის წესები	21					
5.	ფსიქოლოგების მომზადების სასწ.პროგრამა		17				
6.	სასწ.პროგრამა არასრულწლოვანთა დაწეს. სოც.მუშაკთა და	9	2				

	ფსიქოლოგებისთვის						
7.	მსჯავრდებულთა მომზადება გათავისუფლებისათვის			17	5		
8.	სოციალური მუშაობა სასჯ. სისტემაში			52			
9.	აივ პრევენციის და ნარკომანიის საკითხები და გადამისამართება შესაბამის ჯანდაცვით სერვისებზე			17			
10.	შიშშილობის მართვა სასჯ. დაწ-ებებში			20			
11.	კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მოპყრობის თავისებურებები			4	2		
12.	ჯანსაღი გარემოს შექმნა და დაავადებათა პრევენცია სასჯ. დაწ-ში					25	
13.	სოციალური მუშაობა სასჯ. დაწ-ში					40	
14.	ჯგუფური მუშაობის მეთოდები - არასრულწლოვან ბრ/მსჯ - თან მომუშავე სოც. მუშაკებისა და ფსიქოლოგების მომზადება					12	8
15.	ბულინგი. არასრულწ. მომუშავე სოც და ფსიქ					12	10
16.	ნარკოდამოკიდებულების მქონე მსჯ-თა მომზადება გათ-ის					15	
17.	არტ-თერაპია. არასრულწ. მომუშავე სოც და ფსიქოლოგი					12	10
	<b>ჯამი</b>	<b>90</b>	<b>21</b>	<b>110</b>	<b>7</b>	<b>116</b>	<b>28</b>

უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს პატიმრობის კოდექსში ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც - „სისტემის ორგანოში სამუშაოდ მიღების, სავალდებულო პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსების გავლის წესსა და პირობებს .... ადგენს მინისტრი“<sup>42</sup>. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, კანონმდებლობის შესაბამისად, გააჩნია უფლებამოსილება, განსაზღვროს სისტემაში მოსამსახურის მიღების წესი და პირობები.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ამ ნორმის საფუძველზე სამინისტრომ შეიმუშავოს სამსახურში მიღების სავალდებულო კრიტერიუმები სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისთვის, სადაც მითითებული იქნება, რომ სამსახურში მიღების აუცილებელ პირობას წარმოადგენს - უმაღლესი განათლება (ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი) ფსიქოლოგიის და სოციალური სამუშაოს კუთხით.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგის როლის აღიარებაში არასამთავრობო ორგანიზაციებიც დიდ პრობლემას ხედავენ. როგორც ჩანს, სისტემის ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ არ აქვთ ამ სამსახურების მნიშვნელობა გაცნობიერებული, ამიტომ ამ პოზიციაზე მომუშავე ადამიანების გავლენა სისტემაში ჯერ კიდევ ძალიან სუსტია. გარდა ამისა, მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს პროფესიონალი სოციალური მუშაკების ნაკლებობა. ფსიქოლოგების შემთხვევაში კი, მათ არ ეძლევათ თავიანთი პროფესიული მოვალეობების

<sup>42</sup> საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.12<sup>5</sup> (8)

სრულყოფილად შესრულების შესაძლებლობა, რადგან მათი საქმიანობის საჭიროებას, ხშირ შემთხვევაში, ვერ ხედავენ და მხოლოდ სოციალურ მუშაკებზე დამოკიდებულებს უწევთ მუშაობა. თუმცა, თანდათან, რამდენიმე დაწესებულებაში შეიმჩნევა ამ დამოკიდებულების ცვლილება. მაგალითად, გლდანის დაწესებულებაში ფსიქოლოგებს ეძლევათ პატიმართან მუშაობის საშუალება, ხშირ შემთხვევაში, მათ მიმართ გადაჭარბებული მოლოდინიც კი არსებობს, იმედი აქვთ, რომ ფსიქოლოგის მისვლით ყველა სირთულე დარეგულირდება, თუმცა, რეალურად ფსიქოლოგის კომპეტენცია ძალიან შეზღუდულია. მსგავსი დამოკიდებულების გაჩენა სიტუაციის ცვლილების მაჩვენებელია.

ზოგადად, საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების გამართულად ფუნქციონირება, ხშირ შემთხვევაში კონკრეტული დაწესებულების ხელმძღვანელის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. არაერთი ექსპერტი აღნიშნავს ქალთა #5 დაწესებულებაში არსებულ დადებით ცვლილებებს, რასაც ძალიან უწყობს ხელს დაწესებულების დირექტორი.

თუმცა, ამ მხრივ შეშფოთებას იწვევს ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში მიმდინარე კადრების გადაადგილება. დაწესებულების ხელმძღვანელის გარდა, შეიცვალა სოციალური სამსახური უფროსი, რომელიც პროფესიით ფსიქოლოგი იყო, ხოლო მის ნაცვლად დაინიშნა ადამიანი, რომელიც გამომძიებელი იყო. ეს დიდ რისკთან არის დაკავშირებული, პირველ რიგში, იმიტომ, რომ მას, ნაკლებად სავარაუდოა, ჰქონდეს წარმოდგენა ამ განყოფილების მუშაობის შესახებ და მისი ფუნქციების აღსრულების მიმართ. გარდა ამისა, რესპონდენტის ინფორმაციით, ამავე დაწესებულებაში სამი ახალი თანამშრომელია, რომლებიც ადრე ზონდერ ბრიგადის წევრები იყვნენ, ერთ-ერთი მათგანი კი ამჟამად უსაფრთხოების სამსახურის უფროსია და არაპუმანურობით გამოირჩევა. ზოგადად, კადრების მსგავსი გადანაცვლება, ამავე რესპონდენტისთვის, სისტემის „გაპოლიციელების“ ნიშანია.

კადრების ხშირი ცვლილება არასამთავრობო ორგანიზაციებს თავიანთი საქმიანობის შესრულებაშიც უქმნის დაბრკოლებებს, რადგან ხშირად სწორედ ის კადრები თავისუფლდებიან სამსახურიდან, რომლებიც დატრენინგებული და მომზადებულები არიან სხვადასხვა სახის სერვისების მიწოდებაში. ამიტომ არასამთავრობო ორგანიზაციებს თავიდან უწევთ ახალი კადრების დატრენინგება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, სოციალურ სამსახურში მომუშავე პერსონალის, განსაკუთრებით კი ამ სამსახურის ხელმძღვანელების პროფესიული გამოცდილება და მათი პროფესიული წარსული. ამ ადამიანებს არ გააჩნიათ აღნიშნული თანამდებობაზე მუშაობისათვის საჭირო საკმარისი კვალიფიკაცია, რაც მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას ეჭვქვეშ აყენებს. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მისთვის სისტემის „გაპოლიციელების“ ტენდენცია შეინიშნება, რაც უარეს შემთხვევაში, შესაძლოა პატიმრისადმი არაპუმანური მოპყრობითა და სხვა საფრთხეების მატარებელიც კი გახდეს.

**დაწესებულებების რაოდენობა, დაწესებულებების ტიპები, პატიმართა რაოდენობა და განთავსების ლიმიტი**

დაწესებულების ტიპი		განთავსების ლიმიტი	პატიმართა რაოდენობა				
			ბრალდებული	მსჯავრდებული	ქალი	არასრულწლოვანი	სულ
N1	№2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	1840	320	1012	13	9	1332
N2	№3 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	557	102	26	1	0	128

N3	№5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	1349	41	190	231	0	231
N4	№6 პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	1601	12	503	0	0	515
N5	№7 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	100	1	36	0	0	37
N6	№8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	3672	1214	1315	0	20	2529
N7	№9 პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	1142	4	42	0	46	46
N8	№11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება	160	0	58	0	58	58
N9	№12 ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	730	0	232	0	0	232
N10	№14 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	2690	0	998	0	0	998
N11	№15 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	3861	0	1789	0	0	1789
N12	№16 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	2704	0	0	0	0	0
N13	№17 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	2050	0	1922	0	0	1922
N14	№18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულება	180	0	1	0	0	1
N15	№19 ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი	698	0	164	0	0	164
სულ		23334	1694	8288	245	96	9882

საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჩართულობა

დაწესებულების ტიპი		პატიმართა რაოდენობა		
		ბრალდებული	მსჯავრდებული	სულ
N1	№2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	14	44	58
N2	№3 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	0	0	0
N3	№5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	0	92	92
N4	№6 პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	0	10	10
N5	№7 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	0	0	0
N6	№8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	0	26	26
N7	№9 პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	0	0	0
N8	№11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება	0	142	142
N9	№12 ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	0	11	11
N10	№14 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	0	109	109
N11	№15 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	0	0	0
N12	№16 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	0	0	0
N13	№17 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	0	0	0
N14	№18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულება	0	0	0
N15	№19 ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი	0	0	0
სულ		14	434	448

საგანმანათლებლო და პროფესიული კურსები დაწესებულებებში

N	დაწესებულების დასახელება	საგანმანათლებლო კურსი			პროფესიული კურსი																															
		ინტელსუი.ინის უისნავლა	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	სოჯახური სასტუმროს მენეჯერი	დორფალი	ელექტროლო	მარილი	მედილი – მომბიტრკიტილი	საკონსტრუქციო საკონსტრუქციო	დეკორატიული გამოყინვითი ქსოვილების სპეც.	მემონაჩერი პირველი დონე	ხაჯგვითა	ხაჯგვითა პირველი დონე	ასესუარების ფესვადლობის და ტყვიის ნაწ. სპეც.	ხის მხარჯვითი დამფუძვლების სპეციალისტი	ხაჯგვითა პირველი დონე	გაბარბაზი და კანა	სტილისტი	მსახური	მესტერი პირველი დონე	ქორეოგრაფია	სანერვი მორწინების სპეციალისტი	მეხატი (დეკორატიული მინანტი)	ვიზაისტი	საოფისე პროგრამები	კომპიუტერიული გრაფიკა (პირველი დონე)	კომპიუტერიული გრაფიკა (მორე დონე)	ელ.ბაზისის პროგრამა (პირ. დონე)	ელ.ბაზისის პროგრამა (მორე დონე)	ინფორმაციული ტექნოლოგი						
N1	№2 დაწესებულება	+	+	+	+																															
N2	№3 დაწესებულება																																			
N3	№5 დაწესებულება	+	+	+																																
N4	№6 დაწესებულება																																			
N5	№7 დაწესებულება																																			
N6	№8 დაწესებულება																																			
N7	№9 დაწესებულება																																			
N8	№11 დაწესებულება	+	+																																	
N9	№12 დაწესებულება		+	+																																
N10	№14 დაწესებულება	+	+																																	
N11	№15 დაწესებულება	+	+	+																																
N12	№16 დაწესებულება																																			
N13	№17 დაწესებულება	+	+																																	
N14	№18 დაწესებულება																																			
N15	№19 დაწესებულება																																			
სულ																																				

პენიტენციურ სისტემაში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამები ხელმისაწვდომია პატიმართა მხოლოდ მცირე ნაწილისთვის, კერძოდ:

- საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ პატიმართა რაოდენობა პატიმართა მთლიან რაოდენობასთან შეფარდებით არის - **4.5%**;
- ბრალდებულები (ბრალდებულთა მთლიან რაოდენობასთან შეფარდებით)- **0,8%**;
- მსჯავრდებულები (მსჯავრდებულთა მთლიან რაოდენობასთან შეფარდებით) - **5.2%**.

აუცილებელია, სასჯელადსრულების და პრობაციის სამინისტრომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რათა პენიტენციურ სისტემაში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებზე ხელმისაწვდომობა ჰქონდეს პატიმართა უმრავლესობას, ვისაც ამის საჭიროება ექნება.

## არასამთავრობო ორგანიზაციები

### განხორციელებული პროექტები

სასჯელადსრულების დაწესებულებაში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების უმეტეს ნაწილს არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ. კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუ ხუთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები ამ ტიპის პროგრამების დანერგვაში. ეს ორგანიზაციებია: „ქალი და ბიზნესი“, „აფხაზეთი“, „თანადგომა“, წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT) და გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში (GIP). სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო პროგრამების გარდა, ეს ორგანიზაციები ჯანდაცვისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებითაც მუშაობენ. ინტერვიუს მსვლელობისას, ჩვენ განვიხილეთ 2011 წლიდან განხორციელებული პროექტები, როგორც დასრულებული, ასევე მიმდინარე. ქვემოთ დეტალურად არის აღწერილი თითოეული ორგანიზაციის საქმიანობა.

„ქალი და ბიზნესი“- ორგანიზაცია რუსთავის ქალთა #5 დაწესებულებაში ატარებს სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს მსჯავრდებულ ქალთა რესოციალიზაციის ხელშეწყობას. ორგანიზაცია 2007 წლიდან მუშაობს სასჯელადსრულების დაწესებულებაში. როგორც რესპონდენტი ამბობს, სწორედ მათ განახორციელეს ამ სისტემაში პირველი საგანმანათლებლო პროგრამა. 2011 წლიდან მოყოლებული, მათ სამი ფართომასშტაბიანი პროექტი განახორციელეს ქალთა ნორვეგიული ორგანიზაციისა და ევროკავშირის ხელშეწყობით. 2006 წელს ორგანიზაციამ ჩაატარა კვლევა ქალ პრობაციონერებთან, სადაც გამოიკვეთა ის საჭიროებები, რომელთა დანერგვაც შესაძლებელი იქნებოდა დაწესებულების შიგნით. სწორედ ამ კვლევაზე დაყრდნობით დაიგეგმა შემდგომი აქტივობები.

2011 წელს ქალთა დაწესებულებაში, დაახლოებით, 1250 პატიმარი იმყოფებოდა და არავითარი საგანმანათლებლო პროგრამა არ არსებობდა. შესაბამისად, პროექტის მიზანი იყო, დახმარება გაეწიათ კანონთან კონფლიქტში მყოფი ქალბატონებისთვის გათავისუფლების შემდგომ რესოციალიზაციაში და გარესამყაროში რეალურ ადაპტაციაში. ამ მიზნით შეიქმნა პროფესიული გადამზადების ცენტრი, სადაც დაწესებულებაში მყოფი ქალბატონები იღებდნენ პროფესიულ განათლებას, როგორცაა სტილისტი, სამკურნალო მასაჟი, თეჯა, გობელენი, კომპიუტერული სწავლება და ჭრა-კერვა. ყოველი პროექტის ბოლოს ეწყობოდა ცენტრში მომზადებული ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. იმის გამო, რომ ქალთა დაინტერესება ძალიან დიდი იყო, 2012 წლიდან ამავე ორგანიზაციამ დაიწყო უფრო მასშტაბური პროექტი, რომელიც, აქამდე არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო კურსებთან ერთად, მოიცავდა ბიზნესგანათლებას, პროფესიულ განათლებას, იურიდიულ კონსულტაციებს, ოჯახის წევრებთან და შვილებთან კონტაქტის აღდგენას. 2014 წლიდან პროექტი კიდევ უფრო გაფართოვდა. ამჟამად ორგანიზაცია მუშაობს არა მხოლოდ პატიმარ, არამედ პრობაციონერ და გათავისუფლებულ ქალებთანაც. დაწესებულებაში გაიხსნა მცირე ზომის საწარმო, სადაც ქალებს შეუძლიათ, დასაქმდნენ და გამოუმუშავების მიხედვით მიიღონ ანაზღაურება. გარდა ამისა, მოეწყო თანამედროვედ აღჭურვილი სპორტული დარბაზი, რომლითაც, სამედიცინო ცნობის წარდგენის შემდეგ, ნებისმიერ მსურველს შეუძლია ისარგებლოს. ამას გარდა, დაემატა ქართული ენის სწავლება არაქართულენოვანი მსჯავრდებულებისათვის. მთლიანობაში, პროექტმა 2000 ბენეფიციარი უნდა მოიცვას, როგორც ამჟამინდელი, ასევე ყოფილი პატიმარი ქალი. 2011-2013 წლამდე კი 850 ქალი იყო ჩართული ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ პროექტებში. პროექტის შესახებ ინფორმაციას ბენეფიციარები იღებენ გასაუბრებისა და კითხვარის საშუალებით, რომელშიც ჩამოთვლილია პროგრამები. ქალბატონებს შეუძლიათ აირჩიონ თავიანთთვის საინტერესო პროგრამა. ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული დაწესებულების სოციალური სამსახური.

პროექტის დაწყებამდე ყველა ჩართული თანამშრომელი გადის წინასწარ ინსტრუქციას, ხოლო პროექტის მიმდინარეობისას, საჭიროების შემთხვევაში, თუ ახალი მოდულების შექმნა საჭირო, პროექტში ჩართული ექსპერტები ზრუნავენ ცოდნის ამაღლებაზე. შიდა მონიტორინგი ტარდება წელიწადში ერთხელ, ბოლო პროექტისთვის კი ევროკავშირის წარმომადგენლები განახორციელებენ მონიტორინგს.

ორგანიზაციას გაფორმებული აქვს მემორანდუმი იუსტიციისა და სასჯელაღსრულების სამინისტროებთან. მემორანდუმი მოიცავს მთელ რიგ დაშვებებსა და ვალდებულებებს დაწესებულებაში შესვლის, დაწესებულებაში არსებული შინაგანაწესის დაცვის, ტერიტორიაზე გადაადგილების, ინვენტარის შეტანის შესახებ. ხოლო სამინისტრო იღებს ვალდებულებას, გამოეყოს ინფრასტრუქტურა, შექმნას სამუშაო ატმოსფერო და ხელი შეუწყოს პროექტის მიმდინარეობას, რაც თავის მხრივ ხდება სოციალური სამსახურის აქტიური ჩარევის და თანამშრომლობის საშუალებით. რესპონდენტის თქმით, დაწესებულების ადმინისტრაცია ძალიან დაინტერესებულია ამ ტიპის პროგრამების განხორციელებით.

**აფხაზეთი** - 2010-2011 წლებში ცენტრმა „აფხაზეთმა“ შექმნა სხვადასხვა ხელობის ჯგუფები კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანებთან. პროექტი ორ დაწესებულებაში ხორციელდებოდა - ავჭალის #11 და რუსთავის ქალთა #5, სადაც, ქალებთან ერთად, არასრულწლოვანი მსჯავრდებულებიც იხდიდნენ სასჯელს. თავდაპირველად დაწესებულებებში ჩატარდა კვლევა, რათა გამოკვეთილიყო არასრულწლოვანთა ინტერესები. ამ კვლევის შედეგად მოხდა ჯგუფების დადგენა. თუმცა, რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ყველა ინტერესის გათვალისწინება ვერ მოხერხდა უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობის გამო, მაგ. 2010 წელს ფოტოაპარატის შეტანასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ვერ შეიქმნა ფოტოგრაფიის ჯგუფი ავჭალის მე-11 დაწესებულებაში. თუმცა, 2011 წელს მიდგომები შეიცვალა და ამ ჯგუფის დაწესებულებაში შეტანა მოხერხდა. რესპონდენტის ვარაუდით, ეს შესაძლოა ორგანიზაციისადმი ნდობის გაჩენით იყო განპირობებული. მთლიანობაში 16 სხვადასხვა ტიპის ხელობის ჯგუფი გაკეთდა მე-11 დაწესებულებაში, სადაც მხოლოდ ვაჟი არასრულწლოვანები იხდიან სასჯელს, გაკეთდა კომპიუტერული ანიმაცია, ვებდიზაინი, მონტაჟი, კომპიუტერის შეკეთება, სტილისტობა, მინანქარი, ფოტოგრაფია, ხოლო გოგონებთან, რომლებიც რუსთავის ქალთა # მე-5 დაწესებულებაში იმყოფებოდნენ - ვიზაჟის, სტილისტობის, მასაჟისა და კოსმეტოლოგიის ჯგუფები (ეს არის იმ ჯგუფების ჩამონათვალი, რომლებიც რესპონდენტმა ინტერვიუს მსვლელობისას გაიხსენა). პროექტმა მოიცვა მთლიანი სამიზნე ჯგუფი, ავჭალის დაწესებულებაში 160 ბენეფიციარი იყო ჩართული, მაშინ როცა მთლიან დაწესებულებაში 170 მსჯავრდებული იმყოფებოდა, და რუსთავის #5-ში - 5 გოგონა. პროექტი განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით და 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. პროექტის დასრულების შემდეგ ხელობის ჯგუფები გადაიბარა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, რაც თავისთავად, დადებითი პრეცედენტია. დღესაც ფუნქციონირებს ეს ჯგუფები, ამჯერად მათზე პასუხისმგებელი სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროა და ძალიან ბევრი ჯგუფი მუშაობს. რესპონდენტის შეფასებით, 2012 წლის შემდეგ ამ სამინისტროს მუშაობა რადიკალურად დადებითი მიმართულებით არის შეცვლილი. რაც შეეხება გოგონებს, ამჟამად მხოლოდ ერთი არასრულწლოვანი მსჯავრდებული გოგონაა (ინტერვიუ ჩაწერილია 2014 წლის მაისში), შესაბამისად ერთი ბენეფიციარისთვის ცალკე პროექტის დაწერა ვერ ხერხდება, ამიტომ გოგონას, მისი სურვილის მიხედვით, შეუძლია ჩაერთოს ქალთა დაწესებულებაში მიმდინარე ნებისმიერ პროგრამაში.

2013 წელს სასჯელაღსრულების სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი მომსახურების შესყიდვაზე, გამოცხადდა სამი ლოტი, რომელიც მოიგო ცენტრმა „აფხაზეთმა“ და ხუთ დაწესებულებაში გაკეთდა ხელობის ჯგუფები. ეს დაწესებულებებია: ქსნის მე-15, რუსთავის მე-17 და მე-5, გეგუთის და ქუთაისის დახურული ტიპის დაწესებულება. ბენეფიციართა რაოდენობამ მთლიანობაში 130-ს გადააჭარბა. ამ შემთხვევაში ორგანიზაცია ხელობის ჯგუფების არჩევანში შეზღუდული იყო, რადგან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით გამოცხადდა ლოტი. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი ძალიან ხანმოკლე იყო, სულ თვენახევარი გაგრძელდა, მან ძალიან წარმატებით ჩაიარა, ძალიან დიდი იყო ბენეფიციარების მხრიდან დაინტერესება. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტიც, რომ, რესპონდენტის ინფორმაციით, ჯერ



კიდევ ელოდებიან მსჯავრდებულები პროგრამის გაგრძელებას. რამოდენიმე დაწესებულებაში ეს მსგავსი ტიპის პროგრამის განხორციელების პირველი პრეცედენტი იყო.

პროექტში ჩართული ბენეფიციარების შერჩევას თვითონ სისტემის თანამშრომლები აკეთებენ. პროექტის მიმდინარეობის შეფასება ხდება ტრენერების ანგარიშების მიხედვით. 2013 წელს ჩატარებული პროექტისთვის, დეპარტამენტის თხოვნით, გამოვლინდა ყველაზე საუკეთესო მონაწილე, რომელსაც ტრენერის ასისტენტის წოდება მიენიჭებოდა. ამ შემთხვევაში შემუშავდა კითხვარი, ტრენერი აფასებდა პროფესიულ უნარ-ჩვევებს, ხოლო ტექნიკურ ნაწილს, როგორცაა დასწრება, პუნქტუალობა, ჩართულობა, მონიტორინგის ჯგუფი აფასებდა. ზოგადად, მონიტორინგს ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს ცენტრი „აფხაზეთი“. დაწესებულებებში მიმდინარეობს ყოველდღიური მონიტორინგი, ჯგუფებთან ტრენერი მარტო არასოდეს შედის. ორგანიზაციის თხოვნით, ჯგუფების მუშაობას დაწესებულების ზედახედველიც ესწრება, რადგან თითოეული ხელობის დაუფლება სხვადასხვა სახის ბასრი საგნების მოხმარებას მოითხოვს.

პროექტის დაწყებამდე ეწყობა ე.წ. ვორქშოფი, სადაც თანამშრომლები ეცნობიან პროექტს, მიზნებს, აქტივობებს, ფუნქცია-მოვალეობებს, ეთიკის კოდექსს, უფრო გამოცდილი თანამშრომლების მხრიდან ხდება გამოცდილების გაზიარება. თვითონ ორგანიზაციამ, სანამ დაწესებულებაში შევიდოდა, ტრენინგი გაიარა GCRT-თან, რომელსაც სისტემაში მუშაობის უფრო დიდი გამოცდილება აქვს. ეს ტრენინგი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ორგანიზაციის შემდგომი განვითარებისათვის. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის დროს, ყოველ ხუთ თვეში ერთხელ ჩამოდიოდა საერთაშორისო ტრენერი და თანამშრომლებთან ერთად განიხილავდა დაგროვილ გამოცდილებას. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტები იმდენად ხანმოკლე იყო, რომ ვერ მოხერხდა შუალდური ტრენინგების ჩადება თანამშრომლებისათვის.

რამდენადაც რესპონდენტისთვის არის ცნობილი, არანაირი სტანდარტი არ არსებობს, რომელიც დაარეგულირებს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროექტების განხორციელებას. ამაზე ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა.

სამწუხაროდ, დაწესებულების დაინტერესება მსგავსი ტიპის პროგრამებით ხშირ შემთხვევაში ადმინისტრატორის პიროვნულ მიდგომაზეა დამოკიდებული. სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები კი დადებითად განწყობას გამოხატავენ ამ ტიპის პროგრამების მიმართ.

სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისგან განსხვავებით, ცენტრ „აფხაზეთს“ არც ერთ სამინისტროსთან არ აქვს მემორანდუმი გაფორმებული, ამის საჭიროება და/ან მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან არ ყოფილა.

**წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT)** - ორგანიზაცია ორიენტირებულია ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციაზე. 2010 წელს, ორგანიზაციის ინიციატივითა და მონაწილეობით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან, UNICEF-თან და GIP-თან ერთად, დაიწყო ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ზოგადი ფილოსოფიის, კონცეფციის შექმნა არასრულწლოვანთა დაწესებულებისთვის, როგორც მსჯავრდებულობის, ასევე ბრალდებულობის ეტაპზე. ეს გულისხმობდა დაწესებულებისთვის კადრების შერჩევას, მათთვის სხვადასხვა ტიპის ტრენინგების ჩატარებას, მუშაობის პროცესში სუპერვიზიას, ასევე ამ სისტემაში ფსიქო-სოციალური სერვისების მუშაობის კონცეფციის განსაზღვრას, როგორ მოხდეს არასრულწლოვანთა ჩართვა, მულტიდისციპლინური გუნდის შექმნა, ინდივიდუალური მიდგომის დანერგვა - ყველა ამ კომპონენტს მოიცავდა აღნიშნული სამი ორგანიზაციის მიერ ჩამოყალიბებული კონცეფცია.

2010-2011 წლებში ორგანიზაციამ შეიმუშავა გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა, რომელმაც პილოტირება ქსნის დაწესებულებაში გაიარა, სადაც თავად ბენეფიციარები იყვნენ ჩართულები. შემდგომში ამ პროგრამას მიეცა დასრულებული სახე და მოხდა მისი იმპლემენტაცია. აღნიშნული პროგრამისთვის გადამზადდა სასჯელაღსრულების სისტემაში მომუშავე ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები, უშუალოდ პროგრამა კი მოიცავს არა მხოლოდ ჯგუფურ მუშაობას,

არამედ ბენეფიციართა რისკებისა და საჭიროებების განსაზღვრას, სოციალური მუშაკის მუშაობას პატიმრობაში მყოფი ადამიანების ოჯახებთან და ა.შ.

ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში ორგანიზაციამ დანერგა ამერიკული პროგრამა “EQUIP”, რომელიც ემსახურება დაწესებულებაში მყოფი პირების სოციალური ურთიერთობებისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევებით აღჭურვას. ამავე დაწესებულებაში, USAID-თან ერთად, შეიქმნა პროგრამა კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდებისათვის, ეს არის პრევენციული პროგრამა, რომელიც გულისხმობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, ასევე ორგანიზაციამ შექმნა აივ/შიდსის პრევენციის პროგრამა, რომლითაც დატრენინგდნენ დაწესებულების თანამშრომლები. ეს მოდული ამჟამად მოქმედებს დაწესებულებაში.

ქსნის დაწესებულებაში ჩატარდა საჭიროებათა კვლევა იმის გამოსავლენად, თუ რამდენად სჭირდება სისტემას მსგავსი პროგრამის დანერგვა. ავჭალის დაწესებულებაში მუშაობის დაწყებას წინ უძღოდა ამ დაწესებულებასთან თანამშრომლობის 4-5 წლიანი გამოცდილება, სწორედ ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოხდა პროგრამის განსაზღვრა.

რესპონდენტს გაუჭირდა ზუსტი რაოდენობა დაესახელებინა იმ ბენეფიციარებისა, რომლებიც მათ მიერ შემუშავებულ პროგრამას მოიხმარს. ავჭალის დაწესებულებაში EQUIP-ის დანერგვის დროს 50 არასრულწლოვანი იყო ჩართული პროგრამაში, ამჟამად 50 მოზარდია დაწესებულებაში, და რამდენადაც რესპონდენტს აქვს ინფორმაცია, პროგრამამ მთლიანი პოპულაცია მოიცვა.

ინფორმაციის მიწოდების პროცესი რამდენიმე საფეხურზე მიმდინარეობს - თავდაპირველად სისტემის მაღალ დონეზე ხდება შეხვედრები ურთიერთგაცნობის მიზნით. შემდეგ ადმინისტრაციასთან მიმდინარეობს მუშაობა, და ბოლოს, უშუალოდ ბენეფიციარებთან ხდება შეხვედრა. ქსნის და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში უშუალოდ ორგანიზაციის თანამშრომლები დადიოდნენ და არჩევდნენ ჯგუფებს ინტერესის მიხედვით. დაწესებულებებში ყველაზე მჭიდროდ თანამშრომლობა ხდება სოციალური მუშაკებთან და ფსიქოლოგებთან, რომლებიც ორგანიზაციას აწვდიან ინფორმაციას იმ ბენეფიციარების შესახებ, რომლებსაც სჭირდებათ რომელიმე კონკრეტული სერვისის მიღება ან რომელიმე პროგრამაში ჩართვა.

გარდა ამისა, ორგანიზაციამ შექმნა სკრინინგ-ინსტრუმენტი, რომელიც აფასებს, აქვს თუ არა ადამიანს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა, რის შემდეგაც ბენეფიციართან ტარდება კლინიკური ინტერვიუ. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში სოციალური მუშაკებისთვის შეიქმნა საჭიროებათა კვლევის კითხვარი, ასევე იგეგმება ფსიქოლოგებისთვის რაიმე სახის ინსტრუმენტის შექმნა, რაც შესაძლოა, რომელიმე სხვა ქვეყანაში მოქმედი ინსტრუმენტის ადაპტირებული ვერსია იყოს.

ორგანიზაცია სისტემატურად ახდენს დაწესებულებაში მომუშავე სპეციალისტების სუპერვიზიას, რათა გაძლიერდეს მათი პროფესიული უნარ-ჩვევები.

რესპონდენტს არა აქვს ინფორმაცია სამართლებრივი რეგულაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურებთან გაფორმებული მემორანდუმის შესახებ, თუმცა, მისი ვარაუდით, მემორანდუმის გარეშე დაწესებულებაში მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა.

**გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში (GIP)** – ორგანიზაციამ UNICEF-თან და GCRT-თან ერთად დანერგა ე.წ. EQUIP-ის პროგრამა ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში. ასევე, ქალთა #5 დაწესებულებაში საკმაოდ ხანგრძლივი პროექტი განხორციელდა ფსიქიკური ჯანმრთელობის შეტანის მიზნით, ამჟამად ორგანიზაცია ჩართულია პროგრამაში, რომელიც მნიშვნელოვან სარეაბილიტაციო კომპონენტს შეიცავს და გულისხმობს ე.წ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის, რომელიც ჯერჯერობით არ არსებობს, შესაბამისი პროგრამებით აღჭურვას.

ქალთა #5 დაწესებულებაში მუშაობა ორ მნიშვნელოვან კომპონენტს მოიცავს. პირველი მათგანი, რომელიც არ არის რეაბილიტაცია, არამედ ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერის პროგრამაა, მოიცავდა ბრალდებულებთან მუშაობას, კრიზისის მართვას, ადაპტაციურ სტრესთან გამკლავებას,

კონსულტირებას. ორგანიზაციის სპეციალისტთა ჯგუფი რეგულარულად დადიოდა დაწესებულებაში და კონსულტირებას უწევდა ქალბატონებს. ხოლო მოგვიანებით ორგანიზაციამ გადაინაცვლა საპრობილემში, სადაც დაიწყო სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელება იმ მსჯავრდებულ ქალბატონებთან, რომლებსაც გათავისუფლებამდე 6 თვე ჰქონდათ დარჩენილი. ამ პროგრამის მიზანი იყო მსჯავრდებულების იმ უნარებით აღჭურვა, რომლებიც გამოსვლის შემდეგ გამოადგებოდათ და მათთვის თვითგამოხატვის საშუალების მიცემა. ამისათვის შეიქმნა სოციალური უნარების ამამაღლებელი ჯგუფური პროგრამები, რომლებსაც ორგანიზაციის ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები ატარებდნენ. რესპონდენტის თქმით, მსგავსი პროგრამების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი მათი პროტოკოლიზებაა, რაც ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ვერ მოხდა. პროგრამაზე მუშაობდა ორი ფსიქიატრი, ორი სოციალური მუშაკი, მთლიანად დაწესებულების გარედან შესული სპეციალისტების გუნდი, რაც, რესპონდენტის აზრით, მუშაობის ყველაზე საინტერესო მოდელია. გარდა ამისა, შეიქმნა პატარა კლუბი, სადაც ხდებოდა ფილმების ჩვენება სხვადასხვა თემებზე, როგორცაა შურისძიება, პატიება, მიტევება, სიყვარული, სიკვდილი, და ა.შ. რის შემდეგაც ეწყობოდა დისკუსია. სამწუხაროა, რომ ეს პროგრამები ვერ განხორციელდა მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულ ქალბატონებთან, რესურსების ნაკლებობის გამო. საბოლოო ჯამში, ამ სარეაბილიტაციო პროექტების მიზანი იყო სოციალური კომპეტენციის ზრდა - ემოციებისგან დაცლა და მისი მართვა, ეფექტური კომუკაცია, მოსმენა და სხვ.

ამ პროექტების განხორციელებამ ორგანიზაციას მისცა საკმარისი კომპეტენცია იმისთვის, რომ მუშაობა უფრო რთულ და მნიშვნელოვან სამიზნე ჯგუფთან დაეწყოთ - ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებთან, ნივთიერებაზე დამოკიდებულების მქონე პირებთან და პიროვნული აშლილობის მქონე პირებთან. სასჯელაღსრულების სამინისტრომ გადაწყვიტა, ამ სამი სამიზნე ჯგუფისათვის, ქალთა დაწესებულების ბაზაზე, შეექმნა სპეციალური ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი. სამწუხაროდ, 2014 წელს, ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების გამო, ეს პროექტი გადაიდო, თუმცა, სამინისტროს განცხადებით, პროექტი კვლავ დღის წესრიგშია. ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ცენტრში 300-დან 500 ადამიანის გატარება იქნება შესაძლებელი.

ქალთა დაწესებულებაში მთლიანობაში 456 ადამიანი იყო ჩართული, მათგან 115 მსჯავრდებულმა მიიღო მონაწილეობა სარეაბილიტაციო პროგრამაში.

ბრალდებულებისათვის ინფორმაციის მიწოდება, ძირითადად, ბროშურების საშუალებით ხდებოდა, რომელიც ორგანიზაციისათვის გამოყოფილ სამუშაო ოთახში იყო და ნებისმიერ მსურველს შეეძლო მისი აღება, ასევე სოციალური მუშაკები არიგებდნენ. გამოიცა ბუკლეტი, სადაც მოცემულია რჩევები, თუ როგორ უნდა გაუმკლავდე დეპრესიას, ფსიქოზს. ეს ბუკლეტები თვითონ სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა დაარიგა. ბრალდებულებთან რთული იყო მიღწევა, რადგან საკნებში ორგანიზაციის წარმომადგენლებს არ უშვებენ, ხოლო ღრმა დეპრესიაში მყოფი ადამიანი თვითონ არასოდეს ეძებს შველას. სამწუხაროდ, ასეთი ბევრი ქალბატონი იყო, რომლებთან დაკავშირებაც, ძირითადად, მათი თანამესაკნეების საშუალებით ხდებოდა. გარდა ამისა, მუდმივად ხდებოდა ინფორმაციის გამოთხოვა ადმინისტრაციიდან ახალი პატიმრების შესახებ, რადგან სწორედ იმ პატიმარს, რომელიც ნაკლებად აქტიურია, უფრო მეტად სჭირდება დახმარება. ამდენად, ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული ბრალდებული ქალბატონების ჩართვა საკონსულტაციო პროგრამაში.

რაც შეეხება სარეაბილიტაციო ნაწილში ჩართულ ქალბატონებს, ამ შემთხვევაშიც ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული პროექტის განხორციელება. ადმინისტრაციის მხრიდან შემოთავაზებული ვადა - სასჯელის მოხდამდე დარჩენილი 6 თვე - საკმაოდ ხშირად ირღვეოდა, ამიტომ პატიმარი ვერ ასწრებდა სარეაბილიტაციო კურსის დასრულებას, გარდა ამისა, ბევრი მსურველი იყო, რომელიც მხოლოდ იმის გამო ვერ ერთვებოდა, რომ მას სასჯელის დასრულებამდე 6 თვეზე მეტი დრო ჰქონდა დარჩენილი. შესაბამისად, ბევრი ბარიერი არსებობდა ამ პროექტში ბენეფიციარის ჩართვისას.

შეფასებისათვის, ძირითადად, უკვე არსებულ ინსტრუმენტებს იყენებენ. შესაძლოა, რამდენიმე ინსტრუმენტის კომბინირება მომხდარიყო, თუმცა უშუალოდ მათ არ შეუძლებიათ ბენეფიციართა შეფასების ინსტრუმენტი.

რაც შეეხება სამართლებრივ რეგულაციებს, რესპონდენტს ჰქონდა ინფორმაცია კოდექსის შესახებ, რომელიც მათ ქვევებს არეგულირებს, თუმცა, მისივე განცხადებით, რაიმე განსაკუთრებული მარეგულირებელი არ არის ის ჩარჩო.

რაც შეეხება მონიტორინგს, არასრულწლოვანთა დაწესებულების პროექტისთვის მუდმივი სუპერვიზია ტარდება GCRT-ის ოფისში, კვირაში ერთხელ მონიტორინგიც ტარდება. დაწესებულების თანამშრომლებიდან, ქალთა დაწესებულებაში, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი ესწრებოდნენ სარეაბილიტაციო პროგრამას, მათივე თხოვნით.

მემორანდუმი რამდენჯერმე გაფორმდა სახელმწიფო სტრუქტურასთან, სადაც მხარეთა ვალდებულება იყო განსაზღვრული - ორგანიზაციას უნდა შეესრულებინა პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა, ხოლო მათთვის ამ აქტივობების განხორციელებაში ხელშეწყობა მეორე მხარის ვალდებულებას წარმოადგენდა.

ამდენად, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებთანაც ჩვენი კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ ინტერვიუები, ძირითადად, ორი მიმართულებით მუშაობენ - საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების გარდა, ისინი საკონსულტაციო/სამედიცინო მომსახურებასაც აწვდიან ბრალდებულებს/სჯავრდებულებს. ამ ტიპის პროგრამების ყველაზე დიდი წილი ქალთა მე-5 და ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებებზე მოდის, თუმცა ბოლო პერიოდში მამაკაცთა სხვა დაწესებულებებშიც აქტიურად იწყება მუშაობა, რომელიც არა მხოლოდ თბილისს და მის შემოგარენს, არამედ რეგიონებსაც მოიცავს. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არსებობს ისეთი დაწესებულებები, მაგ, ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, #8 დაწესებულებაში მსგავსი პროექტები არასოდეს ჩატარებულა, თუმცა, მისივე ინფორმაციით, მომავალში იგეგმება მსგავსი პროექტების განხორციელება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მე-8 დაწესებულების გარდა, მე-3 და მე-7 დაწესებულებაშიც არ ტარდება საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამები, თუმცა აღნიშნული დაწესებულებები არც ერთ რესპონდენტს კონკრეტულად არ მოუხსენიებია.

არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობა, მათივე განცხადებით, წინასწარი კვლევის საფუძველზე ადგენენ თავიანთ პროგრამას, კვლევაში გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე. ყველა მათგანი რეგულარულად, სხვადასხვა სიხშირით ახორციელებს შიდა მონიტორინგს, რომელშიც ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები არიან ჩართულები. ორგანიზაციის თანამშრომლები მუდმივად გადიან გადამზადებას/დატრენინგებას პროექტის დაწყებამდეც და პროექტის მიმდინარეობის დროსაც. ორგანიზაციების უმეტესობა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის და/ან იუსტიციის სამინისტროსთან აფორმებს მემორანდუმს, რომელიც მხარეთა ვალდებულებებს ითვალისწინებს.

სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციის ინტერესის შესახებ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შეინიშნება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის.

მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაცია მაქსიმალურად ხელს უწყობს ამ ტიპის პროგრამების განხორციელებას იმ შესაძლებლობების ფარგლებში, რაც მათ გააჩნიათ. ნაწილი კი საკმაოდ კრიტიკულად აფასებს მათ დამოკიდებულებას. ხშირ შემთხვევაში ამ ტიპის პროგრამებისთვის ხელშეწყობა დაწესებულების ხელმძღვანელი პირის კეთილ ნებას უფრო ეფუძნება, ვიდრე ერთიან სახელმწიფო სტრატეგიას. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, დახურულ დაწესებულებაში ნაკლები პრობლემა შეიქმნას, ვიდრე ნახევრად დახურულ დაწესებულებაში, სადაც პირიქით, ყველანაირად ცდილობენ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის პრობლემების შექმნას.

არაერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ქალთა დაწესებულებაში და ავჭალის დაწესებულებაში გაცილებით ჰუმანური მიდგომები არსებობს, ვიდრე მამაკაცთა დაწესებულებებში. ერთ-ერთი ექსპერტი ამბობს, რომ „არის დაწესებულება, სადაც საერთოდ არ უშვებენ არასამთავრობო ორგანიზაციას, ანუ ამ სისტემაში არის რაღაც ბნელი ადგილები, სადაც მათ არ უნდათ ალბათ, რომ შეიხედონ ორგანიზაციებმა“.

არასამთავრობო ორგანიზაციებს სერიოზული ბრძოლა უწევთ, რომ ადმინისტრაციას აჩვენონ ამ ტიპის პროგრამების აუცილებლობა. ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, ადმინისტრაცია ორმაგი სტანდარტებით სარგებლობს - ერთი მხრივ, მათ აწყობთ დაწესებულებაში არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობა, მეორე მხრივ კი, შესაძლოა, ადმინისტრაცია ფსიქოლოგიური სამსახურის დისკრედიტაციას ეწეოდეს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო წინა ხელისუფლების პირობებში, როდესაც ადმინისტრაცია მაქსიმალურად შეეცადა ერთ-ერთ დაწესებულებაში ამუშავებული მექანიზმის მოშლას. „*მე შემოიძლია თამამად გითხრათ, რომ დღევანდელი პენიტენციური სისტემა არანაირად არ არის მზად იმისთვის, რომ ჰქონდეს ისეთი ფუფუნება, როგორც არის ფსიქო-სოციალური სერვისი*“ - ამბობს ერთ-ერთი ექსპერტი.

ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, ე.წ. მაყურებელი არჩევდა ბენეფიციარებს პროგრამაში მონაწილეების მისაღებად. თუმცა, 2013 წელს განხორციელებულ პროექტში სურათი შეიცვალა და ეს ვალდებულება მთლიანად სოციალურმა მუშაკებმა და ფსიქოლოგებმა აიღეს საკუთარ თავზე. თუმცა, როგორც რესპონდენტი აღნიშნავს, „*ადმინისტრაციის ზეგავლენა რომ უზარმაზარია ამ სოციალურ სამსახურებზე, ეს არის ფაქტი, სოციალურ სამსახურებს არავინ არაფერს ეკითხება, ამიტომ, მე მაქვს ეჭვი, რომ სოციალური მუშაკები მიდიოდნენ იმ მსჯავრდებულებთან, ვისთანაც ადმინისტრაცია დართავდა მათ უფლებას.*“

ექსპერტების ნაწილი, როგორც უკვე ითქვა, ოპტიმისტურადაც არის განწყობილი და ხედავს დამოკიდებულების ცვლილებას, ახალ პრიორიტეტებს, სადამსჯელოდან სარეაბილიტაციო რეჟიმის უპირატესობის აღიარებას ადმინისტრაციის ხელმძღვანელების მხრიდან. ეს იმ ჩატარებული პროექტების შედეგია, რომლებმაც რეალური შედეგი გამოიღო, თუმცა იმის რისკი, რომ მინიმალური შეცდომის შემთხვევაში მათ უკან დაიხიონ, ძალიან დიდია.

ქალთა დაწესებულებაში ყველაზე აშკარად შეიმჩნევა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებისადმი გაცნობიერებული დამოკიდებულება ადმინისტრაციის მხრიდან.

თუმცა, მნიშვნელოვნად წინგადადგმულ ნაბიჯად არის აღიარებული სასჯელადსრულების სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერი, რომლითაც არასამთავრობო ორგანიზაციებს მიეცათ თავიანთი პროგრამების განხორციელების საშუალება ისეთ დაწესებულებებშიც კი, სადაც საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამები აქამდე არ განხორციელებულა. მიუხედავად იმ მინიმალური თანხისა, რაც ამ სერვისების შესყიდვისთვის იყო გამოყოფილი, არასამთავრობო სექტორის წარმომადგებლები მაინც მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სახელმწიფოს ამ ნაბიჯს, რაც ამ ტიპის პროგრამების პრიორიტეტულობას უსვამს ხაზს.

### საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებისთვის განსაზღვრული სივრცე/ფართი

დაწესებულების ტიპი		ფართი/სივრცე კვ.მეტრებში
N1	№2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	36 კვ.მ
N2	№3 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	0
N3	№5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	25 კვ.მ
N4	№6 პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	90 კვ.მ
N5	№7 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	0
N6	№8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	0

N7	№9 პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	0
N8	№11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება	სკოლის კორპუსი 60 კვ.მ
N9	№12 ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	20 კვ.მ
N10	№14 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	45 კვ.მ
N11	№15 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	35 კვ.მ
N12	№16 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	0
N13	№17 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება	60 კვ.მ
N14	№18 დაწესებულება მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულება	0
N15	№19 ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი	0
სულ		371 კვ.მ

პენიტენციურ სისტემაში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს შესაბამისი სივრცის არსებობა, სადაც უნდა განხორციელდეს აღნიშნული პროგრამები. ევროსაბჭოს წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის სტანდარტების საფუძველზე, მინიმალური საცხოვრებელი ფართი თითო პატიმარზე საერთო საცხოვრებელ საკანში არ უნდა იყოს - **4მ<sup>2</sup>** ნაკლები<sup>43</sup>, ხოლო სამართლო საკანში - **6მ<sup>2</sup>** ნაკლები. თუმცა კომიტეტი ასევე ხაზს უსვამს, რომ ყველაზე სასურველ სტანდარტად შეიძლება ჩაითვალოს მინიმალური ფართი - **8-10მ<sup>2</sup>** ფარგლებში<sup>44</sup>.

გარდა ამისა, ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით 1 პატიმარზე განსაზღვრული ფართი, როგორც წესი, პენიტენციურ დაწესებულებაში არის საშუალოდ **50მ<sup>2</sup>**. აქ იგულისხმება, როგორც საცხოვრებელი ფართი, ასევე სივრცე საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებისთვის, სპორტული და რეკრეაციული აქტივობებისთვის და ა.შ.

2014 წლის მაისის თვის მდგომარეობით, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული იყო - **9882** პატიმარი, ხოლო პატიმართა განთავსების ლიმიტი დღევანდელი მდგომარეობით არის - **23 334**<sup>45</sup>. ეს ლიმიტი რასაკვირველია ეხება მხოლოდ საცხოვრებელ ფართს (თუმცა ცალკე კითხვებს აჩენს ის საკითხი, თუ როგორ და რა პრინციპით არის განსაზღვრული ეს ლიმიტები). მიუხედავად ამისა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მთლიანად პენიტენციურ სისტემაში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებისთვის გამოყოფილია მხოლოდ **371მ<sup>2</sup>** <sup>46</sup>. მთლიან პატიმართა რაოდენობას თუ შევადარებთ, საშუალოდ 1 პატიმარზე საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამისთვის განსაზღვრულია - **0.03მ<sup>2</sup>**.

ცალ-ცალკე თუ განვიხილავთ დაწესებულებებს, მოწოდებული საჯარო ინფორმაციის საფუძველზე, საერთოდ არ არის განსაზღვრული შესაბამისი სივრცე/ფართი N3, N7, N8, N9, N16, N18, N19 დაწესებულებებში. ხოლო იმ დაწესებულებებში, სადაც არის გამოყოფილი შესაბამისი ფართი, ნამდვილად არ არის საკმარისი საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებისთვის. გამონაკლისს წარმოადგენს N11 არასრულწლოვანთა დაწესებულება, სადაც

<sup>43</sup> ევროსაბჭოს წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის 21-ე გენერალური ანგარიში, პ.31

<sup>44</sup> ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციების (2006)2 (ციხის ევროპული წესების შესახებ) კომენტარები, წ.18.2

<sup>45</sup> საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №184 - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების შესახებ.

<sup>46</sup> N11 დაწესებულების სკოლის შენობის გამოკლებით. საჯარო ინფორმაციაში არ იყო მითითებული სკოლის ფართი.

მსჯავრდებულთა რაოდენობის გათვალისწინებით (58 მსჯავრდებული) გამოყოფილი სივრცე (60მ<sup>2</sup>, სკოლის შენობა) შეიძლება მივიჩნიოთ ადეკვატურად.

დასკვის სახით შეიძლება ითქვას, რომ პენიტენციური სისტემაში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებისთვის გამოყოფილი ფართი აბსოლუტურად არ არის საკმარისი პროგრამების ორგანიზებისთვის, ხოლო ნახევარზე მეტ დაწესებულებებში ასეთი სახის სივრცე საერთოდ არ არსებობს. აუცილებელია, სამინისტრომ არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, შეიმუშაოს ინფრასტრუქტურის განვითარების თანმიმდევრული გეგმა, ბიუჯეტის პროგრამულად დაგეგმვის გზით.

---

### **არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ინფრასტრუქტურის შეფასება**

არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტების უდიდესი ნაწილი, რომელთაგანაც კვლევის ფარგლებში ინტერვიუ ჩატარდა, ინფრასტრუქტურას ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად ასახელებს. ერთ-ერთი ექსპერტის შეფასებით, დაწესებულებისთვის განკუთვნილ შენობებში, იქნება ეს ახლად აშენებული თუ ძველი ნაგებობა, საერთოდ არ არის გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამის ჩასატარებელი სივრცის არსებობა. ქალთა დაწესებულებაში ამისათვის ყოფილი სასადილო ოთახი, სასაწყობო მეურნეობა და სხვა მსგავსი სივრცეები გადაკეთდა, შესაბამისად, ისინი იმ მინიმალურ სტანდარტებსაც ვერ აკმაყოფილებს, როგორცაა სეზონურად ტემპერატურის დარეგულირება. თუმცა, ქალთა დაწესებულებაში არსებული ბიბლიოთეკა ძალიან ხელსაყრელი ადგილია საგანმანათლებლო პროგრამების ჩასატარებლად. გარდა ამისა, წინასწარი პატიმრობის განყოფილებაში ფსიქოლოგიური კონსულტირებისთვის ცალკე ოთახი გამოიყო, რომლის მოწყობაზე თავად ორგანიზაციამ იზრუნა. სასურველი იქნებოდა სამედიცინო ნაწილში სივრცის გამოყოფა ფსიქოლოგიური, ინდივიდუალური კონსულტირებისთვის, რათა ორგანიზაციების წარმომადგენლებს არ მოუწიოთ სხვადასხვა დანიშნულების სამედიცინო კაბინეტებში კონსულტაციების ჩატარება. ასეთ კაბინეტებში მუშაობა დიდ უხერხულობას იწვევს, რადგან ინდივიდუალური შეხვედრები ადგილობრივი ექიმების თანდასწრებით მიმდინარეობს, ხშირ შემთხვევაში კი სხვა პატიმრებიც შემოდინ კაბინეტში, რაც კომუნიკაციის შეზღუდვას იწვევს.

არასრულწლოვანთა დაწესებულებას რაც შეეხება, ერთ-ერთი ექსპერტის თქმით, მათ სპეცალისტებს გამოუყვეს მცირე ზომის სივრცე, თუმცა, საფუძლიანი ეჭვი გაუჩნდათ, რომ ეს სივრცე „იმძინებოდა და იმზირებოდა“. ამის გამო ზოგადად მოუწიათ სამუშაო კონცეფციის შეცვლა, იმისთვის, რომ მოზარდები საფრთხის ქვეშ არ ჩაეგდოთ.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტების უმეტესობა ქალთა და არასრულწლოვანთა დაწესებულებების ინფრასტრუქტურას, სხვა დაწესებულებებთან შედარებით, ყველაზე კეთილმოწყობილად აღიარებს და ერთ-ერთმა ექსპერტმა ქალთა დაწესებულების ინფრასტრუქტურა იდეალურადაც კი შეაფასა, აქაც იქმნება არასაკმარისი სივრცის პრობლემა.

ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, ქალთა დაწესებულებაში სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, ვერ განხორციელდა გარკვეული აქტივობები, თუმცა ზოგადად, 2010 წლის შემდეგ სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ დაწესებულებებში პატიმრების რაოდენობა შემცირდა და ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელი გახდა საკნების გამოყენება სხვადასხვა აქტივობებისთვის. თუმცა, დაწესებულებების უმეტესობაში 2000-მდე პატიმარია, და საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებისათვის გამოყოფილი 2 ოთახი არ არის საკმარისი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში ერთზე მეტი ორგანიზაცია მუშაობს.

დაწესებულებების უმეტესობას არ გააჩნია სივრცე ინდივიდუალური შეხვედრებისთვის. ამისთვის გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულების ოთახები, მაგალითად, ადვოკატის ოთახები, სადაც შესაძლოა ვიდეოთვალი იყოს, ისმინებოდეს, ან სულ მცირე მისი თავდაპირველი დანიშნულებით გამოიყენება გახდეს საჭირო.

ასევე, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს დაწესებულებებს გარეთ ინფრასტრუქტურებისა და პროგრამების არარსებობა, რომელიც უშუალოდ ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტებს მოემსახურება. ქუტირში არსებული ფსიქიატრიული დაწესებულების გარდა, არც ერთი სხვა დაწესებულება არ არის მზად ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების მისაღებად, იქაც, გადაადგილების სერიოზული პრობლემაა, რაც, ერთი მხრივ, დიდ ხარჯებთან, მეორე მხრივ კი, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან არის დაკავშირებული. ასევე, არა თუ დაწესებულების შიგნით, დაწესებულების გარეთაც კი, ძალიან ცოტაა სარეაბილიტაციო პროგრამები ნარკოლოგიური პრობლემების მქონე პირებისთვის.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად დაწესებულებებში გამოყოფილია საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო აქტივობებისათვის სივრცე, არასამთავრობო ორგანიზაციები სამუშაო პირობებს ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად აფასებენ, ერთეული გამონაკლისების გარდა, სადაც ინფრასტრუქტურა, სხვა დაწესებულებებთან შედარებით, მეტად მოწესრიგებულია.

## შენიშვნა

სამწუხაროდ, ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას შეიცავდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია, რის გამოც კვლევის ამ ნაწილის სრულყოფილი ჩატარება ვერ მოხდა. საჭიროდ მივიჩნევთ, განვმარტოთ:

- ❖ ერთ-ერთ ინფორმაციაში N8 დაწესებულებაში არ არის მითითებული საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამები, მაშინ როდესაც სხვა საჯარო ინფორმაციაში, სადაც აღნიშნულია პროგრამაში ჩართულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობა, მითითებულია, რომ N8 დაწესებულებაში პროგრამებში ჩართულია - 26 მსჯავრდებული. ასევე საჯარო ინფორმაციაში ცალკე აღნიშნულია, რომ ამ დაწესებულებაში არ არის გამოყოფილი ფართი საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებისთვის.

- ❖ საჯარო ინფორმაციის ერთ-ერთ ნაწილში მითითებულია, რომ N15 და N17 დაწესებულებაში ფუნქციონირებს შემდეგი სახის სარეაბილიტაციო პროგრამები: *ინგლისური ენის შესწავლა; მცირე ბიზნესის მწარმოებელი; ოჯახური მცირე სასტუმროს მენეჯმენტი; დურგალი; ელექტრიკოსი; მეფილე მომპირკეთებელი; საყოფაცხოვრებო საქონლის ელექტრიკოსი; მემინანქრე, პირველი დონე; ხატკვეთა; ხატწერა, პირველი დონე; ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი; ხატვა, პირველი დონე.*

საჯარო ინფორმაციის იმ ნაწილში, სადაც მითითებული იყო საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობა, აღნიშნულია, რომ N15 და N17 დაწესებულებაში არც-ერთი ბრალდებული/მსჯავრდებული არ არის ჩართული ასეთი სახის პროგრამებში.

- ❖ საჯარო ინფორმაციაში მითითებულია, რომ საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების განმახორციელებლები დაწესებულებებში არიან: *სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლები; საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“; წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT); საქართველოს ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“.*



ამავდროულად აღნიშნულია ის საგანმანათლებლო და პროფესიული კურსები, რომლებიც ფუნქციონირებს დაწესებულებებში: ინგლისური ენის შესწავლა; მცირე ბიზნესის მწარმოებელი; ოჯახური მცირე სასტუმროს მენეჯმენტი; დურგალი; ელექტრიკოსი; მკერავი; მეფილე მომპირკეთებელი; საყოფაცხოვრებო საქონლის ელექტრიკოსი; დეკორატიული გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი; მემინანქრე, პირველი დონე; ხატკვეთა; ხატწერა, პირველი დონე; აქსესუარების, ფეხსაცმლის და ტყავის ნაწარმის სპეციალისტი; ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი; ხატვა, პირველი დონე; გიტარაზე დაკვრა; სტილისტი; მასაჟისტი; მქარგავი, პირველი დონე; ქორეოგრაფი; სანერგე მეურნეობის სპეციალისტი; მეზღვე (დეკორატიული მცენარეები; ვიზაჟისტი; საოფისე პროგრამები; კომპიუტერული გრაფიკა (პირველი დონე); კომპიუტერული გრაფიკა (მეორე დონე); ელექტრონული ბაზების პროგრამა (პირველი დონე); ელექტრონული ბაზების პროგრამა (მეორე დონე); ინფორმაციული ტექნოლოგი.

როგოც ხედავთ, მოწოდებულ საჯარო ინფორმაციაში წარმოდგენილია საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ფართო სპექტრი. თუმცა აღნიშნული ინფორმაციის სიზუსტე კითხვებს ბადებს, კერძოდ პენიტენციური სისტემის თანამშრომლეთა გარდა, სერვისის მიწოდებლებად მითითებულია 4 არასამთავრობო ორგანიზაცია (საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“; წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT); საქართველოს ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“) უშუალოდ პენიტენციური სისტემის თანამშრომლეთა ფუნქციონალურ უფლებამოსეობებში არ არის განსაზღვრული ზემოაღნიშნული უმრავლესი პროგრამების განხორციელების მოვალეობა (ვერც შესაბამისი კომპეტენცია ექნებათ) და საეჭვოა, ამ პროგრამების განხორციელებას მხოლოდ ეს 4 ორგანიზაცია უზრუნველყოფდეს.

## საკანონმდებლო ჩარჩო

### პრობაცია

პრობაციის და ზოგადად არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების შესახებ საკითხის მიმოხილვისას, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, მიმოვიხილოთ ამ კუთხით არსებული საერთაშორისო სტანდარტები და შემდგომში მოხდეს მისი შედარება ადგილობრივ კანონმდებლობასთან. საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს ასეთი სახის ღონისძიებების გამოყენების მიზნებს და პრინციპებს<sup>47</sup>. ამ სტანდარტების შესაბამისად ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების პირველად მიზანს წარმოადგენს, ჩამოუყალიბოს კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებს რესოციალიზაციის პროცესის მიმართ ნდობა, განხორციელდეს ასეთი ღონისძიებების ეფექტური ორგანიზება, რის შედეგადაც მიღწეულ უნდა იქნეს უმთავრესი მიზანი - განმეორებით დანაშაულის თავიდან აცილება. ასეთი ტიპის ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს თითოეული პირის დანაშაულთან დაკავშირებული ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე.

საერთაშორისო სტანდარტები ხაზს უსვამს პრობაციისა და არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებისას უწყებათაშორისი კოორდინაციის, საზოგადოებასთან და არასამთავრობო სექტორის

<sup>47</sup> ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2010)1 პრობაციის ევროპული წესების შესახებ, მ.1-17 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 1.1.-1.5

წარმომადგენლებთან ურთიერთობას, გამჭვირვალობას და საზოგადოების აქტიური წევრების ჩართულობას მოხალისებრივ საწყისებზე<sup>48</sup>.

პრობაციისა და არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებისას მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ, თუ რა სახის სამართლებრივი სტანდარტები უნდა იყოს დაცული<sup>49</sup>. აუცილებელია ნებისმიერი სახის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროცედურები დეტალურად იყოს ასახული ეროვნულ კანონმდებლობაში. დეტალურად უნდა იყოს გაწერილი ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს ამა თუ იმ ღონისძიებების შერჩევა.

ცალკე უნდა მიმოვიხილოთ პრობაციის და არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების წესი და პირობები, როგორც სასამართლო განხილვის, ასევე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე<sup>50</sup>. სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, განხილვის პროცესში მნიშვნელოვანია მიეწოდოს წინასასამართლო ანგარიში იმ პირის შესახებ, ვისი საკითხიც იხილება. სოციალური მოკვლევის ანგარიშში უნდა იყოს ასახული ინფორმაცია კონკრეტული პირის პირადი და ოჯახური გარემოებების, სოციალური გარემოს, განათლების, დასაქმების შესაძლებლობის, დამოკიდებულებების და სხვა სახის რისკისა და საჭიროების შესახებ. წინასასამართლო ანგარიში ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დანაშაულის შინაარსის, მისი ხასიათის და სავარაუდო გამომწვევი მიზეზების, დანაშაულთან დაკავშირებული რისკისა და საჭიროების შესახებ (ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე ან სხვა სახის დამოკიდებულებები, დასაქმების ხელმისაწვდომობის პრობლემა და სხვა). ასეთი სახის ინფორმაცია საშუალებას მისცემს სასამართლოს, გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს ყველა ის სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორი, რომელთა გამოც პირი აღმოჩნდა კანონთან კონფლიქტში. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა მიიღოს პირის რისკები და საჭიროებები, დაზარალებულის და ზოგადად საზოგადოების დაცვის ინტერესები.

**წინასასამართლო მოკვლევის ანგარიში ნოვაციაა ქართულ სამართლებრივ სივრცეში. ჯერ-ჯერობით ასეთი სახის მექანიზმი შექმნილი არ არის, თუმცა ამ მიმართულებით გარკვეული ძვრები შეინიშნება. კერძოდ, სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში არსებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ ასეთი სახის სისტემა უნდა დაინერგოს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებაში, თუმცა ჯერჯერობით ეს სისტემა ჩამოყალიბებული არ არის და პირველი ნაბიჯები, როგორც ჩანს, მხოლოდ ბავშვებთან მიმართებაში გადაიდგმება.**

ძალიან მნიშვნელოვანია და ცალკე განსახილველი საკითხია ის შემთხვევები, როცა საპატიმრო ღონისძიების შეცვლა ხდება არასაპატიმრო ღონისძიებით<sup>51</sup> (მაგ. მსჯავრდებულის ვადაზე ადრე გათავისუფლებისას), ასევე როცა მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდეგ მას განსაზღვრული აქვს დამატებითი პირობითი მსჯავრი. ამ პროცესში, რომელსაც ზოგადად „გარდამავალ მენეჯმენტს“ ეძახიან, მნიშვნელოვანია პენიტენციური და პრობაციის სისტემების ურთიერთანამშრომლობა, მჭიდრო კოორდინაცია ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, რომ საპატიმრო დაწესებულებიდან გათავისუფლებამდე ეფექტურად მომზადდეს ნიადაგი კონკრეტული პირის

<sup>48</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 17.1 – 19.3 / ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2010)1 პრობაციის ევროპული წესების შესახებ, მ.31, 34, 62

<sup>49</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 3.1.-3.12

<sup>50</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 7.1.-8.2

<sup>51</sup> ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2010)1 პრობაციის ევროპული წესების შესახებ, მ.59-61

საზოგადოებაში ინტეგრაციის კუთხით და გათავისუფლების შემდეგ გაგრძელდეს არასაპატიმრო ღონისძიების სწორად დაგეგმვა და განხორციელება.

სამწუხაროდ, ამ ეტაპზე კანონმდებლობაში ზოგადი ჩანაწერების გარდა<sup>52</sup>, არ არის გაწერილი პენიტენციური სისტემიდან პრობაციაზე გადასვლის ზუსტი პროცედურები, არ არის მოქცეული ერთიან საკანონმდებლო ჩარჩოში, რის გამოც ე.წ. „გარდამავალი მენეჯმენტის“ პროცესის პროცესი არასისტემატიზირებული და არამდგრადი იქნება. საჭიროა, ამ კუთხით ჩამოყალიბდეს კონკრეტული სამართლებრივი რეგულაციები.

ხშირ შემთხვევაში არასაპატიმრო ღონისძიების ამოწურვის შემდეგ, რომელიც სასჯელის საფუძველზე ჰქონდა პირს შეფარდებული, შეიძლება კიდევ არსებობს გარკვეული ინტერვენციების გაგრძელების საჭიროება<sup>53</sup>. სასურველია, კანონმდებლობის დონეზე არსებობდეს სპეციალური რეგულაციები, რომლებიც უნდა მოიცავდეს სასჯელის (საპატიმრო და არასაპატიმრო) მოხდის შემდგომ გარკვეული სერვისების მიწოდების ან სხვა სახის ჩარევების შესაძლებლობას. პრობაციისა და არასაპატიმრო ღონისძიებების აღსრულებისას სპეციალური ინდივიდუალური გეგმების შემუშავება უნდა ხდებოდეს თითოეული პირის რისკისა და საჭიროების საფუძველზე. მიუხედავად განხორციელებული აქტივობებისა, ასეთი ღონისძიებების ამოწურვის შემდეგ არსებობს ხშირად იმის საჭიროება, რომ დაწყებული ინტერვენციები გაგრძელდეს და პირს ჰქოდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო თუ სხვა სახის აქტივობებში, ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს სხვადასხვა სახის სერვისები, რაც მნიშვნელოვანია მისი საზოგადოებაში უმტკივნეულო ინტეგრაციისთვის.

**აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საკანონმდებლო დონეზე არსებობდეს იმის შესაძლებლობა, რომ არასაპატიმრო სასჯელის და პირობითი მსჯავრის დასრულების შემდეგაც სახელმწიფომ შეძლოს იმ პირთა მხარდაჭერა, ვისაც ამის საჭიროება ექნება.**

პრობაციისა და არასაპატიმრო ღონისძიებების აღსრულებისას მნიშვნელოვანია ასეთი სახის ღონისძიებების დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პროცესი<sup>54</sup>. ალტერნატიული ღონისძიებების აღსრულების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირობების განსაზღვრის წესს, ასეთი სახის ღონისძიებების ხანგრძლივობას და სარეაბილიტაციო პროცესს. პრობაციის და არასაპატიმრო ღონისძიებების აღსრულებისას, პირობების განსაზღვრაში, აქცენტი ერთობლივად უნდა გაკეთდეს როგორც დაზარალებულის და საზოგადოების ინტერესზე, ასევე მსჯავრდებული პირის უფლებების სრულ პატივისცემაზე. ყველა სახის პირობის განსაზღვრა უნდა მოხდეს პირის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე. დადგენილი პირობების აღსრულება უნდა დაეხმაროს პირს პოზიტიური უნარების განვითარებაში, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ინტეგრაციას და ზოგადად განმეორებით დანაშაულის თავიდან აცილებას. აუცილებელია, პირობების დარღვევის და შერჩეული ღონისძიებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლო პასუხისმგებლობის საკითხის განმარტება მოხდეს გასაგები ფორმით და პირს წინასწარ ჰქონდეს განცხადებული თანხმობა ასეთი პირობების შესრულებაზე. ალტერნატიული ღონისძიებების აღსრულება ხორციელდება სხვადასხვა

<sup>52</sup> სასჯელაღსრულებისა, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N19 - სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის თაობაზე, მ.7 (9), მ. 5 (11) / საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №903 - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება, მ.9, პ.9 (3)

<sup>53</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 9.1.-9.4 / ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2010)1 პრობაციის ევროპული წესების შესახებ, მ.62

<sup>54</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 10.1 – 14.6

სახის პროგრამების მეშვეობით<sup>55</sup>. როგორც უკვე აღინიშნა, თითოეული პირის მიმართ შერჩეული გეგმა აუცილებლად უნდა ემყარებოდეს მის საჭიროებებს, რომელთა შესახებაც ინფორმაცია უნდა მივიღოთ სპეციალური შეფასების მეშვეობით. ალტერნატიული ღონისძიებების აღსრულების გეგმა შეიძლება მოიცავდეს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებს, ფსიქო-სოციალურ მომსახურებას, ჯგუფურ თერაპიას, ჯგუფურ მუშაობებს, ტრენინგ კურსების გავლას და ა.შ. აუცილებელია შეფასების პროცესი, სერვისების შერჩევა, იმპლემენტაცია და ჩარევები განხორციელდეს სპეციალური კვალიფიკაციის და გადამზადების მქონე პროფესიონალების მიერ<sup>56</sup>.

ძირითადი დოკუმენტი, ადგილობრივ დონეზე, რომლის მიხედვითაც რეგულირდება პრობაციისა და არასაპატიმრო ღონისძიებების აღსრულების წესი, არის საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“. ამ კანონის მე-7 მუხლის არის შემდეგი შინაარსის ფორმულირება - „პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიზნებია .... მსჯავრდებულის რესოციალიზაცია (მისი საზოგადოებაში ინტეგრაცია) და რეაბილიტაცია (მსჯავრდებულის გამოსწორება და საზოგადოებაში ჯანსაღ წევრად დაბრუნება).... პრობაციის ეროვნული სააგენტო თავის მიზნებს ახორციელებს მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასების საფუძველზე, სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური დაგეგმვით, მსჯავრდებულის აუცილებელი ზედამხედველობითა და კონტროლით, მისი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისთვის ხელის შეწყობითა და დახმარებით ... მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრთან შეთანხმებით, პრობაციის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია, საკუთარი შემოსავლებიდან დააფინანსოს კულტურული, სოციალური, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა ღონისძიებები“.

ამავე კანონის 40-ე მუხლში მოცემულია პრობაციის ოფიცრის და სოციალური მუშაკის კონკრეტულად ჩამოყალიბებული უფლებამოსილებები, კერძოდ - „მსჯავრდებულთან ატარებს აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს .... ახორციელებს სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, რისთვისაც, საჭიროების შემთხვევაში, ამყარებს საქმიან ურთიერთობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებთან .... ახორციელებს სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, რისთვისაც, საჭიროების შემთხვევაში, ამყარებს საქმიან ურთიერთობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებთან .... შესაბამისი სამართლებრივი აქტის აღსრულებას ახორციელებს მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის მიხედვით, რომლის შედგენის პრინციპებს, წესსა და ფორმას განსაზღვრავს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი. ამ ფუნქციის შესრულებისას პრობაციის ოფიცერი თანამშრომლობს სოციალურ მუშაკთან“. გარდა ამისა, ამავე კანონში არის ცალკე მუხლი<sup>57</sup>, რომელიც ეხება საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზების საკითხს. გარდა ამისა, პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ საჯარო ინფორმაციის სახით მოწოდებულ იქნა პრობაციის ოფიცრის და სოციალური მუშაკის ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები, რომლებიც, კანონმდებლობის დონეზე არსებული რეგულაციების გარდა, მოიცავს უფრო დეტალურად ჩამოყალიბებულ მოვალეობებს. იხილეთ:

<sup>55</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 13.1 – 13.6

<sup>56</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 15.1 – 16.3 / ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2010)1 პრობაციის ევროპული წესების შესახებ, მ.21-34

<sup>57</sup> საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, მ.443

---

## პრობაციის ოფიცრის ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები

### საქმიანობის სფერო:

პრობაციის ოფიცერი, პრობაციის ბიუროს უფროსის ხელმძღვანელობით, შეიმუშავებს თითოეული პირობითი მსჯავრდებული პირისთვის საპრობაციო ვადის ინდივიდუალურ გეგმას; ახორციელებს ზედამხედველობას და კონტროლს პირობით მსჯავრდებულ პირებზე; ხელს უწყობს მათ რესოციალიზაციას და რეინტეგრაციას საზოგადოებაში; უზრუნველყოფს სააღსრულებო მოქმედების შესრულებას; საჭიროებისამებრ იძლევა რეკომენდაციებს პირობითი მსჯავრის გაუქმებაზე ან/და შეცვლაზე; უზრუნველყოფს პირობითი მსჯავრის საქმის წარმოებას პრობაციის პერიოდში.

### მოვალეობები:

- ახორციელებს სააღსრულებო მოქმედების შესრულებას და განუმარტავს მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის წესს და პირობებს;
- შეიმუშავებს პირობით მსჯავრდებული პირისთვის საპრობაციო ვადის ინდივიდუალურ გეგმას;
- უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზაში ან/და ჟურნალში, პირად საქმეში მასზე განპიროვნებული პრობაციონერების მონაცემთა სიზუსტეს, განახლებას, დაცულობას და საქმისწამოებას არსებული პროცედურის და კანონის მიხედვით;
- აწარმოებს ინდივიდუალურ სარეაბილიტაციო, რესოციალიზაციის პროგრამას თითოეულ მსჯავრდებულთან მიმართებაში;
- მსჯავრდებულთან ატარებს აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს;
- უწევს დახმარებას პირობით მსჯავრდებულს შრომით მოწყობაში; აფრთხილებს პირობით მსჯავრდებულს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის წესების და პირობების დარღვევისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის თაობაზე;
- ახორციელებს სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, რისთვისაც, საჭიროების შემთხვევაში, ამყარებს საქმიან ურთიერთობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანოებთან;
- საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ვიზიტებს პირობით მსჯავრდებულთან სახლში, მოიპოვებს დამატებით ინფორმაციას მათ შესახებ და შეაქვს მონაცემები შესაბამის პირად საქმეებში;
- ახორციელებს კონტროლს პირობითი მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე და გამოცხადების აღრიცხვაზე;
- გადასინჯავს პირობითი მსჯავრდებულის პირად საქმეებს და აძლევს რეკომენდაციას პრობაციის ბიუროს უფროსს პირობითი მსჯავრის გაუქმებაზე ან/და შეცვლაზე, ქვეყნიდან გასვლაზე და სხვა;
- ამზადებს და წარადგენს ყოველთვიურ სტატისტიკურ ანგარიშს;
- ადგენს სხვადასხვა სახის ანგარიშს/ოქმებს კანონით დადგენილ შემთხვევებში შესაბამისი პროცედურის მიხედვით;
- საჭიროების შემთხვევაში, ასრულებს სამუშაოსთან დაკავშირებულ სხვა დავალებებს.

### საჭირო კვალიფიკაციები:

- უმაღლესი განათლება; სასურველია ერთწლიანი მუშაობის გამოცდილება იურისტად, ფსიქოლოგად, პედაგოგად ან სოციალურ მუშაკად. სასურველია გამოცდილება სისხლის სამართლის სფეროში;
- შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა;
- კომპიუტერული პროგრამების და საოფისე ტექნიკის მოხმარების ცოდნა.

## საქმიანობის სფერო:

პრობაციაზე მყოფ და მართლმსაჯულების სისტემიდან განრიდებულთათვის რეაბილიტაციის, მათ მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით სოციალური მუშაკი, პრობაციის ოფიცერთან ერთად, უზრუნველყოფს პრობაციაზე მყოფ და მართლმსაჯულების სისტემისგან განრიდებულთა საჭიროებების შეფასებასა და შესაბამის მხარდაჭერას.

## მოვალეობები:

- პრობაციის ოფიცერთან (და სასურველია, ფსიქოლოგთან) შეთანხმების საფუძველზე, პრობაციაზე მყოფ და მართლმსაჯულების სისტემისგან განრიდებულ პირებთან და მათ ოჯახებთან მუშაობა (ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაო, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები, ოჯახური კონფერენცია და სხვა);
- პრობაციაზე მყოფ და მართლმსაჯულების სისტემისგან განრიდებულთა პირველადი შეფასება საჭიროებისამებრ, შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით;
- პრობაციაზე მყოფ და მართლმსაჯულების სისტემისგან განრიდებულ იმ პირთა სრული შეფასება, რომელთა პირველადი შეფასების შედეგად გამოიკვეთა სოციალური მუშაობის მომსახურების აუცილებლობა;
- საინფორმაციო ბაზის რეგულარულად განახლება არსებული პროგრამების/პროექტების შესახებ პრობაციონერთა ან მართლმსაჯულების სისტემისგან განრიდებულთა დაკავშირების მიზნით;
- პრობაციონერთა დაკავშირება იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც ხელს შეუწყობენ პრობაციონერების რეაბილიტაციას და რესოციალიზაციას;
- აქტიური მონაწილეობა პრობაციის ბიუროს დონეზე მულტიდისციპლინური ჯგუფის ფუნქციონირებაში;
- მომსახურების მიწოდებისათვის გათვალისწინებული ფორმების დაწესებულ ვადებში შევსება;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან თანამშრომლობა (საჭიროების შემთხვევაში);
- საჭიროებისამებრ საკონსულტაციო შეხვედრების ორანიზება;
- საჭიროებისამებრ სოციალური მუშაობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკის სწავლების სტუდენტების ზედამხედველობა მათ უმაღლეს სასწავლებლებთან გაფორმებული ურთიერთგაგების შეთანხმების ფარგლებში;
- საჭიროებისამებრ, პირობით მსჯავრდებულთათვის გამოსაცდელი ვადის შემცირებისა და პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხის გადასაწყვეტად, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
- მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის მიმართულებით, პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობა;
- სამუშაო პროცესში გამოვლენილი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება და განხილვა სამმართველოს მმართველი გუნდის წარმომადგენლებთან;
- აღნიშნული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების შესრულება;
- საქმიანობის პროცესში იმ პროფესიული ღირებულებებით და პრინციპებით ხელმძღვანელობა, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ.

## აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნა:

- უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც გავლილი აქვს ტრენინგის ხანგრძლივი კურსი სოციალურ სამუშაოში;
- კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- ჯგუფური მუშაობის უნარი და გამოცდილება;
- სტრესულ სიტუაციებში მუშაობის უნარი;
- წერიითი უნარ-ჩვევები;
- პრეზენტაციისა და კომუნიკაციის კარგი უნარ-ჩვევები;

## სასურველი საკვალიფიკაციო მოთხოვნა:

- უმაღლესი განათლება სოციალურ სამუშაოში;
- ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება, სასურველია პრობაციონერებთან.

ზემოაღნიშნული ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები გამოცემულია ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტის სახით და ჩამოყალიბებულია უფრო დეტალურად, ვიდრე ეს არის რეგულირებული საკანონმდებლო დონეზე. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტის დონეზე ჩამოყალიბებული ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების ნაწილის ინტეგრირება მოხდეს ნორმატიული აქტის დონეზე, რაც პრობაციის ოფიცრის და სოციალური მუშაკის სამუშაო პროცესს უფრო ეფექტურს და დაცულს გახდის.

გარდა ამისა, საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებულის კუთხით უფრო დეტალური რეგულაციები გვხვდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დონეზე. სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის N903 ბრძანება - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება განსაზღვრავს სააგენტოს მიზნებს<sup>58</sup>, რომლებიც შესაბამისობაშია კანონის დონეზე არსებულ ნორმებთან. ამ დოკუმენტის იმ ნაწილში, სადაც მითითებულია სააგენტოს უფლებამოსილებები, როგორც კანონის დონეზე, აქაც ხაზგასმულია, რომ სააგენტოს ამოცანაა რესოციალიზაციის მიზნით საჭირო პროგრამების შემუშავება<sup>59</sup>. ეს ბრძანება შეიცავს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს<sup>60</sup>, რომელიც შეეხება ეროვნული სააგენტოს ფარგლებში ჩამოყალიბებული ახალი სტრუქტურული ერთეულის, სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს ფუნქციებს: ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება, საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამების მოდელის შემუშავება, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების პერიოდული პროფესიული გადამზადების ორგანიზება, მსჯავრდებულთა გათავისუფლებისთვის მომზადებისა და რეაბილიტაციის მიმართულებით სასჯელაღსრულების სისტემასთან კოორდინირებული თანამშრომლობის ხელშეწყობა და ა.შ.

ასევე ცალკე უნდა აღვნიშნოთ, რომ პრობაციის ეროვნულ სააგენტოში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის ეფექტურად ორგანიზების მიზნით სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მიერ გამოცემულ იქნა ორი ბრძანება. ბრძანება №9 - არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ და ბრძანება №56 - მსჯავრდებულის რისკების შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ. ამ ორი დოკუმენტიდან პირველი შეეხება უშუალოდ არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ განსახორციელებელ ღონისძიებებს, ხოლო მეორე ზოგადად ყველა პირს. ამ დოკუმენტებში საკმაოდ დეტალურად არის ჩამოყალიბებული სარეაბილიტაციო პროცესის დაგეგმვის გზა და ეტაპები, ინდივიდუალური მიდგომის გზით, რაც ნამდვილად მისასალმებელია.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ პრობაციის ეროვნულ სააგენტოში (პენიტენციური სისტემისგან განსახვავებით), საკანონმდებლო დონეზე საკმაოდ დეტალურად არის დარეგულირებული საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის განხორციელების წესი და

<sup>58</sup> მინისტრის N903 ბრძანება - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება, მ.2

<sup>59</sup> მინისტრის N903 ბრძანება - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება, მ.4 (ე)

<sup>60</sup> მინისტრის N903 ბრძანება - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება, მ.9

ეტაპები, რომლებიც ეხება სხვადასხვა კატეგორიების კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებს. კონკრეტულად არის განსაზღვრული პირები და ორგანოები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. თუმცა სასურველია, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის დონეზე ჩამოყალიბებული ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები ჩამოყალიბდეს ნორმატიული აქტის დონეზე.

პრობაციის სისტემაში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის ორგანიზებაზე, ძირითადად, პასუხისმგებელია სოციალური მუშაკი და პრობაციის ოფიცერი. გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვანია, არსებობდეს კონკრეტული გაწერილი ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები, რომლის მეშვეობითაც უნდა იმუშაონ სოციალურმა მუშაკმა და ფსიქოლოგმა, აუცილებელია ასევე, რომ ამ პროფესიონალებს გააჩნდეთ სათანადო ცოდნა და კვალიფიკაცია.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემაში მოსამსახურეთა მიღების წესს არეგულირებს შემდეგი სახის ნორმატიული აქტები - საქართველოს კანონი საჯელის აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ; საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ; საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №903.

არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად - „პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი<sup>61</sup>. ამავე კანონში აღნიშნულია, რომ - „პრობაციის ოფიცერი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვს უმაღლესი განათლება ... პრობაციის ოფიცერი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში გადის პრობაციის ოფიცრის სპეციალურ სასწავლო კურსს, რომლის დასრულებისას აბარებს შესაბამის გამოცდას<sup>62</sup>.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად - „სამსახურში მიღების მსურველმა თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს უნდა წარუდგინოს: განცხადება; Curriculum Vitae (CV); განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა; პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა, ხოლო „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირმა – ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელი ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა I და II სიაში შეტანილი ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულების ნიშნებისა და ამ ნივთიერებათა ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების ფაქტის არარსებობა; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები“<sup>63</sup>. ამავე კანონის თანახმად - „სამსახურში მიღებასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები დგინდება კანონით ან მის საფუძველზე. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება შემოიღოს დაწესებულების ხელმძღვანელმა (დაწესებულებამ) ან ზემდგომმა უფროსმა“<sup>64</sup>. როგორც წესი, პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად<sup>65</sup>.

<sup>61</sup> საქართველოს კანონი არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, მ.9 (1)

<sup>62</sup> საქართველოს კანონი არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, მ.91 (1,2)

<sup>63</sup> საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მ.25

<sup>64</sup> საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მ.19

<sup>65</sup> საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მ.29



არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების თანახმად - „პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის და სააგენტოს თანამშრომლების შრომითი ურთიერთობები რეგულირდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით“<sup>66</sup>.

### პრობაციის ოფიცერთა და სოციალურ მუშაკთა განათლება

	პრობაციის ბიურო	პრობაციის ოფიცრების რაოდენობა	პრობაციის ოფიცერთა განათლება
1.	თბილისი	63	<ul style="list-style-type: none"> <li>• 34 იურისტი</li> <li>• 11 ეკონომისტი</li> <li>• 3 ინჟინერი</li> <li>• 1 სოციალური მუშაკი</li> <li>• 1 ბიზნესის ადმინისტრირება</li> <li>• 2 ფსიქოლოგი</li> <li>• 1 მათემატიკოსი</li> <li>• 1 ქიმიკოსი</li> <li>• 2 მეღვინეობის ტექნოლოგი</li> <li>• 1 გერმანისტი</li> <li>• 1 ჰიდროგეოლოგი</li> <li>• 1 მეცხოველეობის სპეციალისტი</li> <li>• 1 დიპლომატი</li> <li>• 1 ტრანსპორტის ადმინისტრირების მენეჯერი</li> <li>• 1 კულტუროლოგი</li> <li>• 1 აუდიტი</li> </ul>
2.	მცხეთა-მთიანეთი	5	<ul style="list-style-type: none"> <li>• 3 იურისტი</li> <li>• 1 სოციალური მუშაკი</li> <li>• 1 ინჟინერი</li> </ul>
3.	კახეთი	12	<ul style="list-style-type: none"> <li>• 7 იურისტი</li> <li>• 2 საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი</li> <li>• 1 ეკონომისტი</li> <li>• 1 გეოლოგი</li> </ul>
4.	შიდა ქართლი	9	<ul style="list-style-type: none"> <li>• 5 იურისტი</li> <li>• 1 ისტორიკოსი</li> </ul>

<sup>66</sup> საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №903 - არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება, მ.5

			<ul style="list-style-type: none"> <li>• 1 რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი</li> <li>• დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდოლოგია</li> </ul>
5.	ქვემო ქართლი	15	<ul style="list-style-type: none"> <li>• 12 იურისტი</li> <li>• 1 მეთოდისტი პედაგოგიურ სფეროში</li> <li>• 1 საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი</li> <li>• 1 ბიო-ეკოლოგიის სპეციალისტი</li> </ul>
6.	სამცხე-ჯავახეთი	8	<ul style="list-style-type: none"> <li>• 6 იურისტი</li> <li>• 1 ეკონომისტი</li> <li>• 1 ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტი</li> </ul>
7.	იმერეთი	22	<ul style="list-style-type: none"> <li>• 20 იურისტი</li> <li>• 1 რუსული ენისა და ფილოლოგიის სპეციალისტი</li> <li>• 1 კვების მრეწველობის სპეციალისტი</li> </ul>
8.	გურია	4	<ul style="list-style-type: none"> <li>• 2 იურისტი</li> <li>• 1 ინჟინერი</li> <li>• 1 ზუსტ და ტექნიკურ მეცნიერებათა სპეციალისტი</li> </ul>
9.	სამეგრელო და ზემო სვანეთი	14	<ul style="list-style-type: none"> <li>• 10 იურისტი</li> <li>• 1 სახელმწიფო მართვის სპეციალისტი</li> <li>• 1 ეკონომისტი</li> <li>• 1 ფილოლოგი</li> </ul>
10.	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4	<ul style="list-style-type: none"> <li>• 3 იურისტი</li> <li>• 1 გზების მოძრაობის სპეციალისტი</li> </ul>
11.	აჭარა	15	<ul style="list-style-type: none"> <li>• 13 იურისტი</li> <li>• 2 ეკონომისტი</li> </ul>

### სოციალურ მუშაკთა განათლება

სოციალურ მუშაკთა რაოდენობა	33
უმაღლესი განათლება სოციალურ სამუშაოში	15
უნივერსიტეტი სასერტიფიკაციო კურსი სოციალურ სამუშაოში/ სოციალურ მუშაკთა ტრენინგ კურსი	15
არ აქვთ უმაღლესი განათლება და არ აქვთ გავლილი სასერტიფიკაციო ან/და ტრენინგ კურსი	3

პრობაციის სისტემის თანამშრომელთა გადამზადება 2012 -2014 წლებში

	თემა	2012	2013	2014
1.	პრობაციის სამსახურის როლი პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა მიმართებაში ევროპული სტანდარტის მიხედვით	120		
2.	სახალხო დიპლომატია	1		
3.	საზოგადოების ინფორმირება	1		
4.	სერვისის პლუსი	11		
5.	პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთათვის პირველდაწყებითი საბაზისო სასწავლო პროგრამა	49	20	16
6.	პროგრამის მართვის, სტრატეგიული დაგეგმარებისა და ეფექტური კომუნიკაციის სფეროში საქართველოს სამართალდამცავი უწყების თანამშრომელთა შესაძლებლობების ზრდა	2		
7.	საქართველოს სამართალდამცავი უწყების თანამშრომელთა შესაძლებლობების ზრდა ეფექტური კომუნიკაციის სფეროში	1		
8.	საქართველოს სამართალდამცავი უწყების თანამშრომელთა შესაძლებლობების ზრდა პროექტის მენეჯმენტის სფეროში			
9.	პრობაციის ოფიცის როლი სოციალურ მუშაობაში	50	77	
10.	საკანონმდებლო სიახლეები	61	60	
11.	„საერთაშორისო მიგრაციის მიმოხილვა“	2		
12.	ნარკოლოგიის სფეროში მომუშავე სამედიცინო პერსონალის შესაძლებლობათა ზრდა და ინფრასტრუქტურის განვითარება ნარკოტიკულ საშუალებებზე მოთხოვნის შესამცირებლად საქართველოში	6		
13.	პერსონალის მართვა	2		
14.	საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	40		
15.	თიმ ბილდინგი და სერვისის პლუსი	2		
16.	საოფისე მომზადების სასწავლო კურსი - Power Point	2		
17.	საოფისე მომზადების სასწავლო კურსი - Excel	1		
18.	საოფისე პროგრამა - Access		1	
19.	სახელმწიფო მართვა საშუალო რგოლის მენეჯერთათვის		4	
20.	შეფასების უნარების განვითარება		6	
21.	სამართლებრივი მართლწერა		6	
22.	სახელმწიფო მართვა ზედა რგოლის მენეჯერთათვის		4	
23.	დოკუმენტების მიმოცვლის ელექტრონული სისტემა		2	
24.	ტრენინგის დაგეგმვა და ტრენინგის ჩატარების უნარ-ჩვევები		2	
25.	მსჯავრდებულთა მომზადება გათავისუფლებისათვის		4	
26.	თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების თანამშრომელთა მომზადება		45	38
27.	რისკისა და საჭიროებების შეფასება და ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები		19	

28.	ლიდერობის უნარ-ჩვევები		30	6
29.	პრობაციის სისტემის მენტორთათვის			13
30.	პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა საბაზისო მომზადება			58
<b>ჯამი</b>		354	280	131
<b>სულ</b>		<b>765</b>		

სულ მონაწილე - 765, მათ შორის: სოციალური მუშაკი - 45 / ფსიქოლოგი - 13.

როგორც ვხედავთ, პენიტენციურ სისტემაშიც და ასევე პრობაციის სისტემაშიც, სამწუხაროდ, კანონმდებლობის დონეზე ამ ეტაპზე არ არსებობს თანამდებობაზე დანიშვნის სავალდებულო კრიტერიუმი - შესაბამისი განათლება და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკთან მიმართებაში. სამწუხაროდ, პრობაციის ოფიცრისგან განსხვავებით, კანონმდებლობაში ცალკე არ არის საუბარი სოციალური მუშაკის სტატუსზეც და სამსახურში მიღების თუნდაც ზოგად ჩანაწერზე. ერთადერთ სავალდებულო კრიტერიუმად ამ შემთხვევაშიც არის მხოლოდ უმაღლესი განათლება და კანონმდებლობა ამ მხრივ არ ზღუდავს დამქირავებელს, სამსახურში აიყვანოს პირი, რომელსაც არა აქვს მიღებული შესაბამისი განათლება.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით განსაზღვრულია მოსამსახურეთა პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსების გავლის ვალდებულება, აღნიშნული კურსების ფორმატიდან გამომდინარე, იგი ვერ აღჭურავს პირს შესაბამისი ცოდნით, რასაც აძლევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. პროფესიული გადამზადები კურსების არსებობა მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, უკვე მიღებული ცოდნის გაღრმავების, შენარჩუნების და განმტკიცების მიზნით და არა საბაზისო ცოდნის მიღების თვალსაზრისით, რაც თითქმის შეუძლებელია მოკლევადიანი პროფესიული კურსების საფუძველზე.

პრობაციის ეროვნული სააგენტოსთან მიმართებაში კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება შემოიღოს დაწესებულების ხელმძღვანელმა (დაწესებულებამ) ან ზემდგომმა უფროსმა<sup>67</sup>. პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ საჯარო ინფორმაციის სახით წარმოდგენილ იქნა ის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებსაც უწესებენ პრობაციის ოფიცრებს და სოციალურ მუშაკებს. იხილეთ:

### პრობაციის ოფიცერი

**საჭირო კვალიფიკაციები:**

- უმაღლესი განათლება; სასურველია ერთწლიანი მუშაობის გამოცდილება იურისტად, ფსიქოლოგად, პედაგოგად ან სოციალურ მუშაკად. სასურველია გამოცდილება სისხლის სამართლის სფეროში;
- შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა;
- კომპიუტერული პროგრამების და საოფისე ტექნიკის მოხმარების ცოდნა.

<sup>67</sup> საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მ.19

---

## პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები

### აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნა:

- უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც გავლილი აქვს ტრენინგის ხანგრძლივი კურსი სოციალურ სამუშაოში;
- კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- ჯგუფური მუშაობის უნარი და გამოცდილება;
- სტრესულ სიტუაციებში მუშაობის უნარი;
- წერიტი უნარ-ჩვევები;
- პრეზენტაციისა და კომუნიკაციის კარგი უნარ-ჩვევები;

### სასურველი საკვალიფიკაციო მოთხოვნა:

- უმაღლესი განათლება სოციალურ სამუშაოში;
- ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება, სასურველია – პრობაციონერებთან.

---

როგორც ვხედავთ, სოციალური მუშაკებისთვის დაწესებული სავალდებულო მოთხოვნის მიუხედავად (მაგ. უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც გავლილი აქვს ტრენინგის ხანგრძლივი კურსი სოციალურ სამუშაოში), პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, 3 სოციალურ მუშაკს არც უმაღლესი განათლება აქვს მიღებული სოციალური სამუშაოს კუთხით და არც ხანგრძლივი ტრენინგი/სასერტიფიკაციო კურსი აქვთ გავლილი ამ მიმართულებით.

რაც შეეხება პრობაციის ოფიცრებს, ამ კუთხით გვხვდება საკმაოდ არაერთგვაროვანი მიდგომა. დამატებით სავალდებულო კრიტერიუმებში მითითებულია - უმაღლესი განათლება; სასურველია ერთწლიანი მუშაობის გამოცდილება იურისტად, ფსიქოლოგად, პედაგოგად ან სოციალურ მუშაკად. სასურველია გამოცდილება სისხლის სამართლის სფეროში. უმაღლესი განათლების გარდა, არ არის ჩამოყალიბებული სავალდებულო კრიტერიუმები, არის მხოლოდ სასურველი კრიტერიუმები. მიუხედავად იმისა, რომ პრობაციის ოფიცერთა უმრავლესობა პროფესიით იურისტია, ჩვენ ასევე გვხვდება ისეთი პროფესიის ადამიანები, როგორცაა - კვების მრეწველობის სპეციალისტი, ტრანსპორტის ადმინისტრირების მენეჯერი, მეღვინეობის ტექნოლოგი და ა.შ. არსებობს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არაერთგვაროვანი მიდგომა ამ კუთხით.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია კანონმდებლობის დონეზე დეტალურად გაიწეროს სოციალური მუშაკის და პრობაციის ოფიცრის სამუშაოზე მიღების კრიტერიუმები, სადაც აუცილებელი პირობა იქნება - უმაღლესი განათლება შესაბამისი სპეციალიზაციით (განსაკუთრებით სოციალურ მუშაკებთან მიმართებით), ვინაიდან, აღნიშნული ხარვეზი მნიშვნელოვნად ზრდის რისკს, რომ შესაბამის თანამდებობებზე შეიძლება მოხდნენ არაკვალიფიციური პირები, რაც ზოგადად შეუშლის ხელს პრობაციის სისტემაში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების წარმატებულად და ეფექტურად განხორციელებას. თუმცა, ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ სოციალური მუშაკის

პროფესია საქართველოში საკმაოდ ახალია და დეფიციტურია, რის გამოც რთულია კვალიფიციური ადამიანური რესურსების მოზიდვა, განსაკუთრებით რეგიონებში.

### პრობაციის ბიუროები და მსჯავრდებულთა რაოდენობა

	პრობაციის ბიურო	მსჯავრდებულთა რაოდენობა
1.	თბილისი	4076
2.	მცხეთა-მთიანეთი	190
3.	კახეთი	545
4.	შიდა ქართლი	385
5.	ქვემო ქართლი	756
6.	სამცხე-ჯავახეთი	244
7.	იმერეთი	1014
8.	გურია	215
9.	სამეგრელო და ზემო სვანეთი	740
10.	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	51
11.	აჭარა	602
	ქალი	441
	არასრულწლოვანი	211
	<b>სულ</b>	<b>8818</b>

### პრობაციის ოფიცერთა და სოციალურ მუშაკთა რაოდენობა

	პრობაციის ბიურო	მსჯავრდებულთა რაოდენობა	პრობაციის ოფიცრების რაოდენობა	სოციალური მუშაკის რაოდენობა	1 პრობაციის ოფიცრზე მსჯავრდებულთა რაოდენობა	1 სოციალურ მუშაკზე მსჯავრდებულთა რაოდენობა
1.	თბილისი	4076	63	6	64.6	679.3
2.	მცხეთა-მთიანეთი	190	5	2	38	95
3.	კახეთი	545	12	3	45.41	181.6
4.	შიდა ქართლი	385	9	3	42.7	128.3
5.	ქვემო ქართლი	756	15	3	50.4	252
6.	სამცხე-	244	8	3	30.5	81.3

	ჯავახეთი					
7.	იმერეთი	1014	22	4	46.09	253.5
8.	გურია	215	4	2	53.7	107.5
9.	სამეგრელო და ზემო სვანეთი	740	14	3	52.85	246.6
10.	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	51	4	1	12.75	51
11.	აჭარა	602	15	3	40.1	200.6
<b>ჯამი</b>		<b>8818</b>	<b>171</b>	<b>33</b>	<b>51.5</b>	<b>267.2</b>

ცალკე განხილვის საკითხია პრობაციის ოფიცერთა და სოციალურ მუშაკთა რაოდენობა. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება 2012 წლის შემდეგ, რაც, ძირითადად, გამოწვეულია სახელმწიფოს მიერ მიღებული სხვადასხვა სახის პოლიტიკური და სამართლებრივი გადაწყვეტილებების შედეგად (კანონი ამნისტიის შესახებ, პრეზიდენტის შეწყალებები და ა.შ.). წინა წლებთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ პრობაციის ოფიცერთა რაოდენობა მეტ-ნაკლებად შეესაბამება ბიუროების მიხედვით არსებულ მსჯავრდებულთა რაოდენობას. იგი მერყეობს პრობაციის ერთ ოფიცერზე, მინიმუმ, **30.5 მსჯავრდებულის** (სამცხე-ჯავახეთის ბიურო) – მაქსიმუმ, **64.6** (თბილისის ბიურო) მსჯავრდებულამდე.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ კუთხით მაინც არის საკმაოდ არაერთგვაროვანი მიდგომა და ასეთი სახის ბალანსი გამოწვეულია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოლიტიკური და სამართლებრივი რეფორმების შედეგად. აუცილებელია ამ კუთხით კონკრეტული სტანდარტის შემუშავება.

უფრო მეტად არაერთგვაროვანი სიტუაცია გვხვდება სოციალურ მუშაკებთან მიმართებაში, რომლებიც არიან ძირითადად პასუხისმგებელი საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებაზე. მაგალითად, ერთ სოციალურ მუშაკზე რაჭა-ლეჩხუმის ბიუროში მოდის - **51 მსჯავრდებული**, ხოლო თბილისის ბიუროში - **679.3 მსჯავრდებული**. სხვა ბიუროების მიხედვითაც საკმაოდ არაერთგვაროვანი მიდგომაა.

ნამდვილად მისასალმებელია, რომ ბოლო პერიოდში პრობაციის სისტემაში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ზოგადად სოციალურ მუშაკთა რაოდენობა, თუმცა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის ეფექტურად ორგანიზებისთვის აუცილებელია ერთგვაროვანი სისტემის ჩამოყალიბება.

პრობაციის ეროვნულ სააგენტოში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების განმახორციელებლები არიან:

- პრობაციის ეროვნული ბიუროს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო;
- ააიპ - წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი;

- ააიპ -ორგანიზაცია „თანხმობა“;
- სსიპ -დანაშაულის პრევენციის ცენტრი;
- ააიპ - დემოკრატიის ჩართულობის ცენტრი;
- ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრი;
- სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი.

**საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამები და მისი განმახორციელებლები**

ბიურო	საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამა	მსჯავრდებულთა რაოდენობა	განმახორციელებელი
თბილისი	თვითდახმარების ჯგუფური შეხვედრები	8 (ქალი)	პრობაციის ეროვნული ბიუროს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო
	მშობელთა მხარდაჭერის ჯგუფები	30 (მსჯავრდებულის მშობელი)	პრობაციის ეროვნული ბიუროს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო
	პიროვნული განვითარებისა და ცხოვრებისეული ფასეულობების ტრენინგი	8 (არასრულწლოვანი)	პრობაციის ეროვნული ბიუროს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო
	სვირინგების მოშორების პროგრამა	15	დანაშაულის პრევენციის ცენტრი (გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით)
	წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაცია	10	წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი
	ტრენინგი არასრულწლოვანი განრიდებულებისთვის	8	წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი
	საჯარო ლექციები	9	სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი
	განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა მშობელთა საგანმანათლებლო ტრენინგი	1 (მსჯ. მშობელი)	
	დასაქმების მოტივაციის ზრდის პროგრამა	20	პრობაციის ეროვნული ბიუროს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო
<b>სულ</b>	<b>70 მსჯავრდებული (30 მსჯავრდებულის მშობელი)</b>		
იმერეთი	პიროვნული განვითარების და ცხოვრებისეული განვითარების ტრენინგი	14 (7 ქალი, 7 არასრულწლოვანი)	პრობაციის ეროვნული ბიუროს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო
	წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაცია	5	წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი



	სვირინგების მოშორების პროგრამა	2	დანაშაულის პრევენციის ცენტრი (გაეროს ზავშვთა ფონდის მხარდაჭერით)
	დასაქმების მოტივაციის ზრდის პროგრამა	20	პრობაციის ეროვნული ბიუროს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო
	ჯანსაღი ცხოვრების წესის ტრენინგი	10	პრობაციის ეროვნული ბიუროს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო
	ტრენინგი ოჯახურ ძალადობაში	6	ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრი
	ბიზნესტრენინგი	4	ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრი
<b>სულ</b>	<b>61 (20 არასრულწლოვანი)</b>		
<b>აჭარა</b>	პიროვნული განვითარების და ცხოვრებისეული განვითარების ტრენინგი	8	პრობაციის ეროვნული ბიუროს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო
	მართვის მოწმობის კურსები	3	დემოკრატიის ჩართულობის ცენტრი
	უფასო იურიდიული კონსულტაციები	2	დემოკრატიის ჩართულობის ცენტრი
	სვირინგების მოშორების პროგრამა	4	დანაშაულის პრევენციის ცენტრი (გაეროს ზავშვთა ფონდის მხარდაჭერით)
	დასაქმების მოტივაციის ზრდის პროგრამა	29	პრობაციის ეროვნული ბიუროს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო
<b>სულ</b>	<b>46 (15 არასრულწლოვანი)</b>		
<b>რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი</b>	დასაქმების მოტივაციის ზრდის პროგრამა	4	პრობაციის ეროვნული ბიუროს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო
<b>შიდა ქართლი</b>	საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრები ნარკომანია და ტრეფიკინგის საკითხებში	5	პრობაციის ეროვნული ბიუროს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო
	პროფესიული გადაზრდების კურსი	14	ორგანიზაცია „თანხმოება“
	ინდივიდუალური ფსიქო-კონსულტირება	14	ორგანიზაცია „თანხმოება“
<b>სულ</b>	<b>19</b>		
<b>ჯამი</b>	<b>239 (30 მსჯ. მშობელი)</b>		

საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ მსჯავრდებულთა პროცენტული მაჩვენებელი

	პრობაციის ბიურო	მსჯავრდებულთა მთლიანი რაოდენობა	საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	პროცენტული (%) მაჩვენებელი
1.	თბილისი	4076	79	1.9%
2.	მცხეთა-მთიანეთი	190	0	0%
3.	კახეთი	545	0	0%
4.	შიდა ქართლი	385	19	4.9%
5.	ქვემო ქართლი	756	0	0%
6.	სამცხე-ჯავახეთი	244	0	0%
7.	იმერეთი	1014	61	6%
8.	გურია	215	0	0%
9.	სამეგრელო და ზემო სვანეთი	740	0	0%
10.	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	51	4	7.8%
11.	აჭარა	602	46	7.6%
	<b>სულ</b>	<b>8818</b>	<b>239</b>	<b>2.7%</b>

ზოგადად მისასაღმებელია, რომ საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებს, პრობაციის ეროვნული სააგენტოს გარდა, ახორციელებენ სხვადასხვა სახის არასამთავრობო ორგანიზაციები და სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები. უწყებრივი თანამშრომლობა და კოორდინაცია მნიშვნელოვანი და აუცილებელია საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის ორგანიზებისთვის - რათა ყველა მსჯავრდებულს, ვისაც აქვს ამის საჭიროება, ჰქონდეს ასეთი სახის პროგრამების ხელმისაწვდომობა.

მიუხედავად გადადგმული საკმაოდ პოზიტიური ნაბიჯებისა, ისინი არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფენ არსებულ საჭიროებებს. კერძოდ, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, გურიის და სამეგრელო-ზემო სვანეთის ბიუროებში არანაირი საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამა არ ხორციელდება. ხოლო, საერთო ჯამში, მსჯავრდებულების მხოლოდ **2.7%** არის ჩართული სხვადასხვა სახის პროგრამებში (8818 მსჯავრდებულიდან 239).

აუცილებელია პრობაციის ეროვნული სააგენტო მხრიდან გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარებისთვის, განსაკუთრებით იმ ბიუროებში, სადაც ასეთი სახის პროგრამები საერთოდ არ ხორციელდება.

საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებისთვის გამოყოფილი ფართი

პრობაციის ბიურო	ფართი (დაახლოებით)
თბილისი	188მ <sup>2</sup>
შიდა ქართლი	50მ <sup>2</sup>
იმერეთი	35მ <sup>2</sup>
აჭარა	30მ <sup>2</sup>
სამეგრელო და ზემო სვანეთი	15მ <sup>2</sup>
სამცხე-ჯავახეთი	40მ <sup>2</sup>
<b>სულ</b>	<b>1888მ<sup>2</sup></b>

საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს შესაბამისი სივრცის არსებობა, სადაც უნდა განხორციელდეს აღნიშნული პროგრამები.

საანგარიშო პერიოდში პრობაციის სისტემას ერიცხებოდა - **8818** მსჯავრდებული, ხოლო მთლიანად სისტემაში არსებული სივრცე, სადაც შესაძლებელია საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზება, არის - **1888მ<sup>2</sup>. 1 მსჯავრდებულზე- 2.18მ<sup>2</sup>**. ხოლო ზოგიერთ ბიუროში (მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, ქვემო ქართლი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) საერთოდ არ არის განსაზღვრული ფართი საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებისთვის.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით პირდაპირ აუცილებელ პირობას არ წარმოადგეს ისეთი სივრცის არსებობა, რომელიც შეიძლება პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბალანსზე ირიცხებოდეს. სავსებით შესაძლებელია გარკვეული სერვისების განხორციელება პარტნიორი ორგანიზაციების მეშვეობით (მათ სივრცეში), გარკვეული სერვისების ყიდვა და გარეთ გატანა. თუმცა აუცილებელია, თითოეული ბიუროს დონეზე არსებობდეს მინიმალური ფართი მაინც, სადაც სოციალურ მუშაკებს/ფსიქოლოგებს, მინიმუმ, ჯგუფური ან/და ინდივიდუალური თერაპიული საქმიანობის წარმოების შესაძლებლობა ექნებოდათ.

დასკვის სახით შეიძლება ითქვას, რომ პრობაციის სისტემაში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებისთვის გამოყოფილი ფართი არ არის საკმარისი პროგრამების ორგანიზებისთვის, ხოლო ბიუროების უმეტესობაში ასეთი სახის სივრცე საერთოდ არ არსებობს. მიზანშეწონილია, რომ სამინისტრომ, არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, შეიმუშაოს ინფრასტრუქტურის განვითარების თანმიმდევრული გეგმა, ბიუჯეტის პროგრამულად დაგეგმვის გზით. გარდა ამისა, აუცილებელია ასევე ცალკე ჩამოყალიბდეს გარე სერვისების განვითარების გეგმა.

**კვლევაში მონაწილე ხუთი ორგანიზაციიდან ნაწილს პრობაციონერთან და ყოფილ პატიმრებთანაც აქვს მუშაობის გამოცდილება.**

**„ქალი და ბიზნესი“** - პირველი პროექტი ორგანიზაციამ 2006 წელს, სწორედ პრობაციონერ ქალებთან გააკეთა. ჩატარდა კვლევა პრობაციონერ ქალებთან, სადაც გამოიკვეთა ის საჭიროებები, რაც პატიმრობის დროს ქალბატონებს გააჩნიათ. ამ კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით გადაწყდა უშუალოდ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში პროექტის დანერგვა. 2014 წელს მიღებული დაფინანსებით, ორგანიზაციამ გადაწყვიტა, სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო პროგრამა ჩაეტარებინა არა მხოლოდ პატიმრობაში მყოფი, არამედ გათავისუფლებული და პრობაციონერი ქალბატონებისთვისაც. ორგანიზაციას გააჩნია საკუთარი ბაზა, რომელსაც ეწოდება „ბიზნეს ინკუბატორი“. ამ ბაზაზე შექმნილია რამდენიმე მცირე ზომის საამქრო, სადაც პრობაციონერ

ქალბატონებს შეუძლიათ, პროფესიული გადამზადება გაიარონ. ანალოგიური ბაზა შექმნილია გორშიც, შესაბამისად, პრობაციონერ ქალთა ნაწილს, რომელთა სიები დაზუსტდა და ორგანიზაციას პრობაციის სააგენტოდან გადმოეცა, ანალოგიური პროგრამის გავლა შეეძლება გორში არსებულ „ბიზნეს ინკუბატორშიც“. გარდა ამისა, პრობაციონერი ქალებისთვის ფუნქციონირებს პროფესიული განათლების ჯგუფები. გათავისუფლებული ქალბატონებისათვის ერთ-ერთ პრობლემას თავშესაფარის არქონა წარმოადგენს. ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით, ორგანიზაციამ შექმნა თავშესაფარი, სადაც სამი თვის განმავლობაში დაწესებულებიდან გამოსულ ქალბატონებს შეუძლიათ ცხოვრება, თავშესაფარს მხოლოდ 10 ბენეფიციარის მიღება შეუძლია. ორგანიზაცია ზრუნავს ქალბატონების დასაქმებაზეც, ამასთანავე, დახმარებას უწევს დაწესებულებაში ყოფნისას შემუშავებული ბიზნესგეგმების განხორციელებაში. მომავალში ამ პროექტის ფარგლებში იგეგმება მცირე გრანტების პროგრამის შექმნა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება 500-700 ევროს ოდენობის გრანტის გაცემა. გარდა ამისა, ორგანიზაცია პატიმრებს ეხმარება უკვე არსებულ პროფესიებში გადამზადებაში და პარალელურად მათთვის სამსახურის მოძიებაში.

პრობაციონერი ქალებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, პირველ ეტაპზე, პრობაციის სააგენტოსთან ერთად, ხდება ორგანიზაციის მიერ შედგენილი კითხვარის განხილვა, რის შემდეგაც ეს კითხვარი პრობაციის სააგენტოს მიერ აღრიცხვაზე მყოფ ქალებს ეგზავნებათ. ბენეფიციატა დაინტერესების შემთხვევაში, თვითონ პრობაციის სააგენტოს დახმარებით ხდება მათთან დაკავშირება და ჯგუფების შედგენა. პროექტის განხორციელება დაგეგმილია როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში - გორში, კახეთში, ზუგდიდსა და ქუთაისში. თითოეული კურსის არჩევისას გათვალისწინებულია ბენეფიციარების ფიზიკური მდგომარეობაც.

**GCRT-** პრობაციის ბიუროზე დაქვემდებარებულ „თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში“, სადაც შედარებით მცირე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პატიმრები გათავისუფლების წინა ეტაპზე გადაჰყავთ, ორგანიზაცია მუშაობს ფსიქო-სოციალური სერვისების პროგრამების შემუშავებაზე. ამ დაწესებულებაში მოქმედებს როგორც გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა, რომელმაც ქსნის დაწესებულებაში გაიარა პილოტირება, ასევე ჰოლანდიური პროგრამა, რომელიც სპეციალურად გათავისუფლებისთვის მზადების ეტაპისთვის არის შემუშავებული. ორგანიზაცია ამზადებს სახელმძღვანელოს, რომელსაც უშუალოდ „თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების“ თანამშრომლები განახორციელებენ, ხოლო მენეჯმენტსა და სუპერვიზიას კი GCRT გაუწევს. პროგრამის დაწყებამდე, ორგანიზაციის წარმომადგენელი პირადად შეხვდა ყველა ბენეფიციარს, ატარებდა ხანმოკლე ინტერვიუს და აცნობდა პროგრამას. ეს ნაწილობრივ საჭიროებათა კვლევაც იყო და ბენეფიციარებისთვის პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაც. ორგანიზაციის გუნდმა „თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების“ სოციალური მუშაკებისთვის შექმნა საჭიროებათა კითხვარი, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ფსიქოლოგისთვის ინსტრუმენტის შექმნაზე, სადაც დაწესებულების სპეციფიკურობა უნდა იყოს გათვალისწინებული. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში გამოყოფილია ორი ოთახი, სადაც შესაძლებელია ინდივიდუალური თუ ჯგუფური შეხვედრების მოწყობა. შესაბამისად, ინფრასტრუქტურის მხრივ ყველაზე ნაკლები პრობლემა სწორედ ამ დაწესებულებაშია, იმის გათვალისწინებითაც, რომ დაწესებულებაში მხოლოდ 15 მსჯავრდებული იმყოფება, ყველა მათგანი ჩართულია ორგანიზაციის მიერ დანერგილ პროგრამაში. რაც შეეხება პროგრამის მონიტორინგს, იმის გამო, რომ პროგრამა ძალიან ახალია, ჯერჯერობით მონიტორინგი თუ სუპერვიზია არ ტარდება, თუმცა მომავალში პროექტი ამასაც გულისხმობს – უფრო მეტად სუპერვიზიის სახით, რომლის მიზანი ადგილზე მომუშავე სპეციალისტების პროფესიული გაძლიერება იქნება.

**ცენტრი „ახვაზეთი“** – 2010-2011 წლებში ორგანიზაციამ არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან დაიწყო პროექტი სახელწოდებით „აღდგენითი პროგრამა არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან“. სწორედ იმ პერიოდში, რესპონდენტის განმარტებით, სასჯელაღსრულების სამინისტრო ატარებდა

რეფორმას, რომლის მიხედვითაც, სისტემა სადამსჯელოდან აღდგენით მოდელზე უნდა გადასულიყო. პირველი პროგრამა თბილისის პრობაციის ბიუროში ჩატარდა და პილოტური სახე ჰქონდა. მთლიანობაში 80 არასრულწლოვანი პრობაციონერი ჩაერთო მუშაობაში, რასაც ძალიან კარგი შედეგები მოჰყვა. ზოგადად, პროგრამის მიზანს წარმოადგენს ადამიანის დახმარება მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გაცნობიერებაში და მისთვის ამ ქმედების უარყოფითი შედეგების ჩვენება. ხშირ შემთხვევაში დამნაშავე მეორე მხარეს მიიჩნევს ბრალეულად. პროექტის ბოლოს, რაც უფრო მაღლა აიწევს იმ ბენეფიციარების რიცხვი, რომელიც გაიაზრებს თავის მიერ ჩადენილ ქმედებას, მით უფრო ეფექტურად შეიძლება ჩაითვალოს პროგრამა. ევროპული გამოცდილებით, რეგიდივის ნიშნული, ამ პროექტის გავლის შემდეგ, 10%-ით მცირდება. ეს მაჩვენებელია შესაძლოა, ერთი შეხედვით, დიდი არ არის, მაგრამ რეალურად ძალიან სერიოზული შედეგია. სამწუხაროდ, ორგანიზაციას ლონგიტუდური კვლევის ჩატარების საშუალება არ ჰქონია, რადგან პროექტის დასრულების შემდეგ ბენეფიციარებთან ხელმისაწვდომობა იზღუდება. პროექტში ჩართულები იყვნენ ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, ამერიკელი ექსპერტი. შემუშავდა ინსტრუმენტი თვისებრივი და რაოდენობრივი გასაღებით, რომლითაც შესაძლებელი გახდა პროცესის ეფექტურობის გაზომვა. რესპონდენტის აზრით, მსგავსი პროგრამის არსებობა საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, დონორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკების არაერთი მცდელობის მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა მისი გაგრძელება. ორგანიზაციამ სახელმწიფოსაც კი შესთავაზა პროგრამის სწავლება, რათა მერე ამ უკანასკნელს თავისი ძალებით განეხორციელებინა ის, მაგრამ, სამწუხაროდ, შეთანხმება მაინც ვერ მოხერხდა.

2013 წელს კი, პრობაციის სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების შემდეგ, ცენტრმა „აფხაზეთმა“ ზრდასრულ პრობაციონერებთან განაგრძნო ანალოგიურ პროგრამაზე მუშაობა მცირედი მოდიფიკაციით. აღდგენითი პროგრამა ჩატარდა კახეთში, სამეგრელოსა და შიდა ქართლის რეგიონში. ამ შემთხვევაში, სააგენტოს მოთხოვნით, კეთდებოდა ბენეფიციართა ფსიქო-პორტრეტებიც, მასალის შექმნისას ასევე გამოყენებული იყო ფსიქო-დიაგნოსტიკური მეთოდი. ამან ორგანიზაციას პროფესიული თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება შესძინა. შეგროვილი მასალა მთლიანად პრობაციის სააგენტოს გადაეცა.

ბენეფიციარებს პრობაციის სააგენტოს ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკები არჩევენ, თუმცა გარეთ ყოფნისას უფრო ადვილია ადამიანისთვის ინფორმაციის მიწოდება და პროექტში ჩართვა. თუმცა, ზოგადად, რესპონდენტმა აღნიშნა, რომ პრობაციის ბიურო დაინტერესებულია, რაც შეიძლება ბევრი ადამიანი იყოს ჩართული სარეაბილიტაციო პროგრამაში. ორგანიზაცია მუდმივად ატარებს პროექტის მონიტორინგს. როდესაც ფსიქო-სარეაბილიტაციო ჯგუფი მიმდინარეობს, პროცესს ორგანიზაციის უფრო კვალიფიციური თანამშრომელი ყოველთვის ესწრება და რეკომენდაციებს გასცემს.

პროექტის მიმდინარეობისას ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით ყველაზე ცუდი მდგომარეობა სამეგრელოს ბიუროში იყო, თუმცა რესპონდენტის ინფორმაციით, ბიურო გარემონტდა. შიდა ქართლისა და კახეთის პრობაციის ბიუროები საკმაოდ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, თუმცა, შეხვედრები პრობაციის ბიუროში არ მიმდინარეობდა, რადგან მათთვის გამოყოფილ ოთახში, რომელიც თავდაპირველი დანიშნულებით პაემნების ოთახს წარმოადგენდა, ვიდეოთვალი იყო დამონტაჟებული, ამიტომ პროგრამა ალტერნატიულ ტერიტორიაზე ტარდებოდა, სადაც პრობაციონერი უფრო დაცულად იგრძნობდა თავს და თავისუფლად შეეძლებოდა ინფორმაციის გაცემა. ზოგადად, მსგავსი ტიპის პროექტებისთვის სანდოობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბენეფიციარმა შესაძლოა, ისეთი ინფორმაცია გააჟღეროს, რაც პოლიციისთვის უცნობია, ამიტომ ნეიტრალურ ტერიტორიაზე ჩატარებული პროექტები ბევრად ეფექტურია, რადგან ბენეფიციარისთვის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი არ არის სისტემასთან ასოცირებული.

**ფონდი „თანადგომა“** – ფონდის საქმიანობა მოიცავს ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდას პრობაციონერი და გათავისუფლებული პატიმრებისთვის. ამ მიმართულებით საქმიანობა 2011 წელს დაიწყო, ჰოლანდიური საერთაშორისო ორგანიზაციის - შიდსის ფონდი-აღმოსავლეთი-დასავლეთი - უკრაინაში არსებული ფილიალის მხარდაჭერით. თავდაპირველად მუშაობა იწყება პატიმრებთან, რომლებსაც გათავისუფლებამდე 3-6 თვე აქვთ დარჩენილი და გრძელდება გათავისუფლების შემდგომ. პროექტი მოიცავს შემთხვევის მართვას, პრობლემების გამოკვეთას ოჯახთან და სამართალდამცავ ორგანოებთან და ა.შ. გათავისუფლებულ და პრობაციონერ პირებთან მიმართებაში, დაახლოებით, ანალოგიური მოდელი მოქმედებს.

დაწესებულების შიგნით მუშაობა მოიცავს საჭიროებების კვლევას, რათა გათავისუფლების შემდეგ ამ საჭიროებების მოგვარება მოხდეს. ძირითადად, მიმდინარეობს ინდივიდუალური მუშაობა. პროექტის ძირითად სამიზნე ჯგუფს წამალდამოკიდებული ადამიანები წარმოადგენენ, რადგან ისეთი დაავადებების პროფილაქტიკაზეა ყურადღება გამახვილებული, რომელიც წამლის მოხმარებასთან ასოცირდება. ესენია აივ/შიდსი, ვირუსული ჰეპატიტები და ზოგადად, სისხლით გადამდები დაავადებები. თუმცა, შესაძლოა, ბენეფიციარი გახდეს ისეთი პატიმარიც, ყოფილი პატიმარი ან პრობაციონერი, რომელსაც წამალდამოკიდებულების პრობლემა არ გააჩნია. პროექტის დასაწყისში ჩატარდა მცირე მასშტაბის ხარისხობრივი კვლევა პატიმრებში, პრობაციონერებში და ასევე ინექციური ნარკოტიკის მოხმარებლებში. კვლევა მოიცავდა საჭიროებების გამოკვლევას, რომლის საფუძველზე დაიგეგმა ის სერვისები, რის საშუალებასაც ბიუჯეტი იძლეოდა. **პროექტი 2015 წლამდე გაგრძელდება.** 2012-13 წლებში მუშაობა მიმდინარეობდა სამ დაწესებულებაში - მე-12 დაწესებულება, ქალთა მე-5 დაწესებულება და მე-17 დაწესებულება. ხოლო 2014 წლიდან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შეთავაზებით, მე-8 დაწესებულებაშიც დაიწყო მუშაობა. ამის პარალელურად პროექტი ტარდებოდა პრობაციის სააგენტოში. თავდაპირველად ორგანიზაციის წარმომადგენლები ინდივიდუალურად ხვდებოდნენ პრობაციონერებს, თუმცა შემდეგ, სივრცის პრობლემების გამო, პრობაციის ოფიცერი აწვდიდა ბენეფიციარებს ინფორმაციას პროგრამის შესახებ, რამაც მომართვიანობის შემცირება გამოიწვია. გარდა ამისა, საინფორმაციო ბროშურა იღო სასჯელაღსრულების დაწესებულების შეხვედრების ნაწილში, სადაც ახლობლები გადიან რეგისტრაციას.

2014 წლის აპრილიდან ანალოგიური პროგრამა დაიწყო ევროკავშირის დაფინანსებით, შესაბამისად, იგივე პროექტი, თბილისის გარდა, მიმდინარეობს ქუთაისში, ზუგდიდში და ბათუმშიც. ყოფილ პატიმრებთან დაკავშირება, ძირითადად, პირადი კონტაქტების საშუალებით ხდება. ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს ქუთაისის #2 , #14 და გეგუთის დაწესებულებებში. ბენეფიციარებისთვის იბეჭდება საინფორმაციო ბროშურები, სადაც ორგანიზაციის კოორდინატები და ქეის მენეჯერების ტელეფონია მითითებული და დარიგდება დაწესებულებებში. ამავე პროექტის ფარგლებში იგეგმება კვლევის განხორციელება, რომელიც გულისხმობს ფოკუსირებულ დისკუსიას პრობაციის ოფიცრებთან და პრობაციონერებთან, ასევე ჩატარდება 5 ჩაღრმავებული ინტერვიუ, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავდება კითხვარი, რომელიც შეეხება განათლებას, უფლება-მოვალეობებს, პირობებს და სხვა საკითხებს, ამ კვლევის შედეგების მიხედვით კი შეიქმნება სახელმძღვანელო იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური ქეის მენეჯმენტი.

პროგრამა ითვალისწინებს მაღალი ზღურბლის და დაბალი ზღურბლის კლიენტებთან მუშაობას. დაბალი ზღურბლის კლიენტი მხოლოდ ელემენტარულ დახმარებას იღებს, როგორცაა, მაგალითად, კონკრეტული სერვისის, სამედიცინო მომსახურების მიღება, ხოლო მაღალი ზღურბლის კლიენტს უფრო ხანგრძლივი, საფუძვლიანი და მოცულობითი ჩარევა სჭირდება, რაც გულისხმობს ფსიქოლოგიურ კონსულტაციას, ოჯახში პრობლემების მოგვარებას, საბუთების მოწესრიგებაში დახმარებას და ა.შ. მაღალი ზღურბლის კლიენტთან ორგანიზაცია დებს კონტრაქტს, რომელსაც იურიდიული ძალა არ გააჩნია, გამიზნულია მხოლოდ იმისთვის, რომ თვითონ ინდივიდმაც იგრძნოს გარკვეული პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, მოქმედებს 12 ნაბიჯის პროგრამა, რომელიც დახურულ და ღია ჯგუფებში ტარდება. ღია ჯგუფებს ატარებენ თავად ის ადამიანები, ვისაც ერთი წლის განმავლობაში რემისია აქვთ. ყოფილ პატიმრებთან კვირაში ორჯერ ტარდება ასეთი ჯგუფები, პროექტის მანძილზე დაგეგმილია 250 მაღალი ზღურბლის და 400 დაბალი ზღურბლის კლიენტის მომსახურება. ბენეფიციარებს უშუალოდ ქეის მენეჯერები

ესაუბრებიან პროექტის შესახებ, თუმცა წამალდამოკიდებულების პრობლემის მქონე პაციმრებს თავად დაწესებულების სოციალური მუშაკი აგზავნის ფონდის თანამშრომელთან. ბენეფიციარების შეფასების ინსტრუმენტად ნაწილობრივ შეიძლება კლიენტის რუკა ჩაითვალოს, რომლის მიხედვითაც გრძელდება ინდივიდთან მუშაობა.

ფონდი „თანადგომა“ კლიენტს უწევს ფსიქოლოგიურ კონსულტირებას, ოჯახის წევრების დახმარებას, ნევროპათოლოგის დახმარებას, ექოსკოპიას და ინფექციონისტის კონსულტირებას, შიდსზე, B და C ჰეპატიტებზე ტესტირებას, სხვა საჭიროებების არსებობის შემთხვევაში, ხდება გადამისამართება ან თანხლება – იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი მარტო წასვლაზე უარს ამბობს.

წელიწადში ოთხჯერ დაგეგმილია მონიტორინგი, ორი შიდა მონიტორინგის ვიზიტი, ხოლო ორი უცხოელ ექსპერტებთან ერთად. მონიტორინგისთვის შემუშავებულია სპეციალური გეგმა. პროექტის ეფექტურობის განსაზღვრისთვის გამოყენებულია ე.წ. კმაყოფილების ფორმა, რომელსაც ავსებს მაღალი ზღურბლის კლიენტი. გარდა ამისა, დაგეგმილია კვლევა, სადაც ჩართული იქნება პროექტის სერვისების მიმღები ბენეფიციარების ჯგუფი და საკონტროლო ჯგუფი, მიღებული მონაცემების დამუშავების შემდეგ შესაძლებელი იქნება პროექტის ეფექტურობის განსაზღვრა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტისთვის მემორანდუმი გაფორმდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან, სადაც განსაზღვრულია მხარეთა ვალდებულებები.

ორგანიზაცია ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის განკუთვნილი ქცევის წესების განმსაზღვრელი დოკუმენტით, გარდა ამისა, ორგანიზაციას შემუშავებული აქვს ქცევის წესები სისტემის შიგნით სამუშაოდ.

## საბიუჯეტო საკითხები

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2014 წლის ბიუჯეტი

პროგრამული კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის დამტკიცებული გეგმა	2014 წლის გეგმა	მათ შორის		
					საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი
27 00	საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	134,058.7	174,300.0	157,000.0	157,000.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	4,982.0	5,048.0	5,104.0	5,104.0	0.0	0.0
	ხარჯები	109,677.3	139,183.8	130,207.0	130,207.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	49,335.7	64,727.0	67,607.0	67,607.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	24,371.7	35,116.2	26,793.0	26,793.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	9.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
27 01	პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა	3,358.5	8,641.5	4,159.0	4,159.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	135.0	135.0	132.0	132.0	0.0	0.0
	ხარჯები	3,203.0	4,521.5	3,947.0	3,947.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	2,213.8	2,385.0	2,653.0	2,653.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	155.5	4,120.0	212.0	212.0	0.0	0.0
27 02	სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა	122,463.6	152,787.0	136,369.0	136,369.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	4,319.0	4,319.0	4,412.0	4,412.0	0.0	0.0
	ხარჯები	98,652.1	122,090.8	109,947.0	109,947.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	42,780.8	55,007.2	57,928.0	57,928.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	23,808.4	30,696.2	26,422.0	26,422.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	3.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
27 02 01	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება	116,419.1	145,271.2	126,147.0	126,147.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	3,907.0	3,907.0	3,901.0	3,901.0	0.0	0.0
	ხარჯები	92,739.6	116,035.0	100,795.0	100,795.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	38,402.0	50,445.1	50,884.0	50,884.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	23,676.4	29,236.2	25,352.0	25,352.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	3.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
27 02 02	სრულყოფილი პრობაციის სისტემა	2,880.9	4,550.3	7,257.0	7,257.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	225.0	225.0	324.0	324.0	0.0	0.0
	ხარჯები	2,872.2	3,190.3	6,277.0	6,277.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	2,227.1	2,384.8	4,839.0	4,839.0	0.0	0.0



	არაფინანსური აქტივების ზრდა	8.7	1,360.0	980.0	980.0	0.0	0.0
27 02 03	უფასო იურიდიული დახმარება	3,163.7	2,965.5	2,965.0	2,965.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	187.0	187.0	187.0	187.0	0.0	0.0
	ხარჯები	3,040.3	2,865.5	2,875.0	2,875.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	2,151.7	2,177.3	2,205.0	2,205.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	123.4	100.0	90.0	90.0	0.0	0.0
27 03	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება	1,049.3	806.5	1,006.0	1,006.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	13.0	13.0	13.0	13.0	0.0	0.0
	ხარჯები	860.9	756.5	947.0	947.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	206.4	209.8	235.0	235.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	188.5	50.0	59.0	59.0	0.0	0.0
27 04	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით	7,187.2	12,065.0	15,466.0	15,466.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	515.0	581.0	547.0	547.0	0.0	0.0
	ხარჯები	6,961.4	11,815.0	15,366.0	15,366.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	4,134.7	7,125.0	6,791.0	6,791.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	219.3	250.0	100.0	100.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	6.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

## პენიტენციური სისტემა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში 2011-2013 წლებში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებისთვის გაწეული ხარჯები, ბიუჯეტის შესაბამისი მუხლის მითითებით.

ბიუჯეტის მუხლი	სულ	პერიოდი		
		2011	2012	2013
შრომის ანაზღაურება	803.219.00	114.357.00	147.435.00	541.427.00
საკონელი და მომსახურება	87.907.00			87.907.00
არაფინანსური აქტივების ზრდა	180.937.00	68.732.00	108.005.00	4.200.00
სულ	1.032.063.00	183.089.00	255.440.00	633.534.00

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში 2011-2014 წლებში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებისთვის გაწეული ხარჯები, სასჯელაღსრულების დაწესებულებების მიხედვით.

პერიოდი	სახელმწიფო ბიუჯეტი				დაწესებულება
	შრომის ანაზღაურება	პროფესიული სწავლებისთვის აუცილებელი ინვენტარი და სატრენინგო მომსახურება	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	სულ	
2011 წელი			68 732	68 732	N14, N15
2012 წელი			108 005	108 005	N17, N6
2013 წელი	541 427	92 107		633 534	N2, N5, N6, N11, N14, N15, N17
2014 წელი	547 841	250 000		797 841	N2, N5, N6, N11, N12 N14, N15, N17

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხები.

ბიუჯეტის მუხლი	2014 წლის გეგმა
შრომის ანაზღაურება	547.841.00
საქონელი და მომსახურება	250.000.00
სულ	797.841.00

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებისთვის დაიხარჯა:

- **2011 წელს** - 183 089 ლარი (სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მთლიანი ბიუჯეტი 2011წ. - 96 875 000 ლარი). სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბიუჯეტის - **0.19%**;
- **2012 წელს** - 255 440 ლარი (სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მთლიანი ბიუჯეტი 2012წ. - 116 419 000 ლარი). სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბიუჯეტის - **0.22%**
- **2013 წელს** - 633 534 ლარი (სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მთლიანი ბიუჯეტი 2013წ. - 145 271 200 ლარი). სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბიუჯეტის - **0.44%**;
- **2014 წლისთვის გამოყოფილია** - 797 841 ლარი (სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მთლიანი ბიუჯეტის გეგმა 2014 წ. - 126 147 000 ლარი). სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბიუჯეტის - **0.64%**.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში მითითებულია, რომ თანხები დაიხარჯა ბიუჯეტის შემდეგი მუხლებიდან - შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, არაფინანსური აქტივების ზრდა.

შრომის ანაზღაურება და საქონელი და მომსახურება წარმოადგენს ბიუჯეტის ხარჯების ნაწილს.

შრომის ანაზღაურების ქვეშ, როგორც წესი, იგულისხმება - თანამდებობრივი სარგო; წოდებრივი სარგო; პრემია; დანამატი; ჰონორარი; კომპენსაცია.

საქონელი და მოსახურების ქვეშ, როგორც წესი, იგულისხმება - შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება; მივლინება; ოფისის ხარჯები; წარმომადგენლობითი ხარჯები; კვების ხარჯები; სამედიცინო ხარჯები; ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები; სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება.

ზოგადად მისასაღმებელია, რომ ბოლო წლების განმავლობაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბიუჯეტიდან დახარჯული თანხები საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებისთვის დეპარტამენტის მთლიან ბიუჯეტთან მიმართებაში არის ზრდადი (2011წ. - 0.19% / 2012წ.- 0.22% / 2013წ. - 0.44% / 2014 - 0.64%), თუმცა საკმაოდ მცირეა და ნამდვილად არ არის საკმარისი იმ საჭიროებების გათვალისწინებით, რაც დღესდღეობით არსებობს პენიტენციურ სისტემაში. არსებული რესურსები საკმარისი რომ არ არის, ეს ნათლად არის აღნიშნული ქვემოთ - პენიტენციურ სიტემაში განთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მხოლოდ **4.5%-ს** აქვს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ხელმისაწვდომობა.

გარდა ამისა, ბიუჯეტის დაგეგმვის ბოლო წლების სტატისტიკა და პრაქტიკა აჩვენებს, რომ საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებისთვის ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება ბიუჯეტის ზოგად მუხლებზე მითითებით (ხარჯები - შრომის ანაზღაურება და საქონელი და მომსახურება). შრომის ანაზღაურების ქვეშ, გასაგებია, რომ იგულისხმება, ძირითადად, შტატიან მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო, წოდებრივი სარგო, პრემია და დანამატი. საქონელი და მომსახურებიდან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ხარჯები, ძირითადად, დაიხარჯა პროფესიული სწავლებისთვის აუცილებელი ინვენტარისთვის, სატრენინგო მომსახურებისთვის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის ასეთი სტრუქტურის გათვალისწინებით, ხარჯები შესაძლებელია, დახარჯულიყო სხვა მიზნებისთვისაც – თუკი ამის საჭიროება გამოიკვეთებოდა კალენდარული წლის განმავლობაში ან დეპარტამენტი/სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო სხვა პრიორიტეტებს დაისახავდა მიზნად. მაგალითად, მივლინებებისთვის, საოფისე ხარჯებისთვის, წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებისთვის და ა.შ. ამის შესაძლებლობას ბიუჯეტის დაგეგმვის ეს სტრუქტურა იძლევა, რის გამოც იგი არ არის ბოლომდე პროგნოზირებადი.

სამწუხაროდ, არც 2011-2013 წლების და არც 2014 წლის ბიუჯეტის შემთხვევაში დაგეგმვა არ ხდება პროგრამულად, კონკრეტული აქტივობების განსახორციელებლად. მართალია, გარკვეული რესურსები საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებისთვის დაიხარჯა 2011-2013 წლებში, თუმცა საწყის ეტაპზე არც ერთი ბიუჯეტის დაგეგმვისას წინასწარ არ იყო განსაზღვრული ის თანხები, რაც შემდგომში კონკრეტული საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებისთვის დაიხარჯებოდა. ანალოგიური სიტუაციაა 2014 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას, სადაც მითითებულია, რომ საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებისთვის ბიუჯეტიდან დაიხარჯება თანხები - შრომის ანაზღაურებიდან და საქონელი და მომსახურების მუხლიდან, რაც ასევე ზოგადია. არ იკვეთება, თუ კონკრეტულად რომელი პროგრამისთვის იხარჯება, ინვენტარი უნდა იყიდონ, რემონტი უნდა ჩაატარონ, საკანცელარიო ნივთები დასჭირდებათ თუ სხვა სახის მომსახურება და ა.შ.

სახელმწიფო თანამდებობის პირების საჯარო განცხადებებიც კი იმის თაობაზე, რომ ესა თუ ის პროგრამა განხორციელდება, არ არის საკმარისი თანმიმდევრული მიდგომისთვის. არ არის საკმარისი თუნდაც სხვადასხვა სახის სტრატეგიებში და სამოქმედო გეგმებში სხვადასხვა აქტივობების ასახვა, თუკი მას ბიუჯეტი არ უმაგრებს ზურგს. პროგრამების განხორციელების

ძირითადი წყარო არის სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრები, ამიტომ აუცილებელია, წინასწარ იგეგმებოდეს ბიუჯეტი პროგრამულად, კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობის თაობაზე.

პროგრამული ბიუჯეტი ტრადიციული სტრუქტურის ბიუჯეტის ალტერნატივაა და იმ უპირატესობით გამოირჩევა, რომ ის დაგეგმვის პროცესიდანვე შედეგზეა ორიენტირებული. პროგრამულ ბიუჯეტში ხარჯები კონკრეტული პროგრამების მიხედვით არის დაყოფილი და უფრო თვალსაჩინოა მიზეზ-შედეგობრივი კავშირები კონკრეტულ ღონისძიებაში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მიღებულ შედეგებს შორის.

ასეთი სახის მიდგომა შეუწყობდა ხელს, რომ არსებული ისედაც მცირე რესურსები, პროგრამული ბიუჯეტირების გზით, განაწილებული ყოფილიყო პრიორიტეტების მიხედვით, კონკრეტული პროგრამების მითითებით და იმის აღნიშვნით, კონკრეტული პროგრამისთვის რა თანხა დაიხარჯებოდა. ასეთი სახის დაგეგმვა უფრო ნათლად წარმოაჩინდა სამინისტროს პოლიტიკას პენიტენციურ სისტემაში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარების კუთხით.

2013 წელს მოხდა პრეცედენტი, როდესაც სასჯელაღსრულების სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი მომსახურების შესყიდვაზე. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელთა წარმომადგენლებთანაც კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუ. ესენი არიან ცენტრი „აფხაზეთი“ და „ქალი და ბიზნესი“. ტენდერი სწორედ პროფესიულ განათლებას ეხებოდა. ორივე გამარჯვებული ორგანიზაცია ჩართული იყო სახელმწიფო პროგრამის შემუშავებაში. როგორც ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გავრცელებული მოდელია, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ხოლო მათ განხორციელებაზე არასამთავრობო ორგანიზაციები იღებენ პასუხისმგებლობას. მისივე განცხადებით, საქართველოში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ამ სფეროში მუშაობის ბევრად დიდი გამოცდილება აქვთ, ვიდრე კერძო კომპანიებს, ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ სახელმწიფო სწორედ მათ მიანიჭებს უპირატესობას და უზრუნველყოფს დაფინანსებას. ეს არასამთავრობო სექტორსაც გააძლიერებს და ბენეფიციარებისთვისაც ბევრად სასარგებლო იქნება.

ცენტრი „აფხაზეთის“ წარმომადგენლის ცნობით, სახელმწიფოს მიერ პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა იმდენად მიზერული იყო, რომ მისი განხორციელების ხარისხი არასამთავრობო ორგანიზაციების კეთილსინდისიერებაზე იყო დამოკიდებული. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორგანიზაცია არაკეთილსინდისიერად განახორციელებდა პროექტს, ეს ბუნებრივი იქნებოდა, რადგან ყველა ორგანიზაციას არ აქვს იმის საშუალება, რომ საკუთარ თავს „ქველმოქმედების“ უფლება მისცეს. სრულყოფილი პროექტის განხორციელებისთვის აუცილებელია კვალიფიციური სპეციალისტების დაქირავება, ასევე სხვადასხვა მატერიალური მასალის შეძენა, რის საშუალებასაც სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა არ იძლეოდა.

გარდა ამისა, დასრულებული ტენდერის შემდეგ ახალი ტენდერის გამოცხადება დროულად ვერ ხერხდება, რაც ბევრ შეფერხებას იწვევს. ერთი მხრივ, პატიმრებს უჩნდებათ მოლოდინი, მეორე მხრივ, მათ ასევე ავიწყდებათ ის უნარ-ჩვევები, რაც მცირე დროის განმავლობაში შეიძინეს.

საერთო ჯამში, სახელმწიფო ტენდერის არსებობას არასამთავრობო ორგანიზაციები დადებითად აფასებენ, თუმცა სასურველია, ხანგრძლივი წყვეტა არ მოხდეს და გამოიყოს იმ რაოდენობის თანხა, რაც არასამთავრობო ორგანიზაციებს საშუალებას მისცემს, ბენეფიციარებს სრულფასოვანი, მაღალი ხარისხის მომსახურება გაუწიონ.

დაფინანსების სხვა წყაროებს რაც შეეხება, მსგავსი პროექტები, ძირითადად, საერთაშორისო დონორებისა და ევროკავშირის მიერ ფინანსდება.

## პრობაცია

პრობაციის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად:

- საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან რესურსები არ იხარჯება;
- 2014 წელს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების უზრუნველყოფისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და პრობაციის ეროვნული სააგენტოს საკუთარი შემოსავლებიდან თანხები არ დახარჯულა;
- პრობაციის სისტემაში 2011 და 2012 წლებში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები არ დახარჯულა;
- 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებისთვის თანხა არ არის განსაზღვრული.

მხოლოდ მითითებულია, რომ 2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პრობაციის ეროვნული სააგენტოსთვის განკუთვნილი ასიგნებების ფარგლებში - „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ მუხლიდან საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებისთვის დაიხარჯა:

პროგრამა	ორგანიზაცია	ხარჯი
პირობით მსჯავრდებულთა ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა	ააიპ - კავშირი წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი	6945.07
პირობით მსჯავრდებულთა საზოგადოებაში ინტეგრაციისა და დანაშაულის პრევენციის მხარდამჭერი პროგრამა	ააიპ - რეგიონალური განვითარების რესურსცენტრი	6950.00
რეაბილიტაცია თავისუფლებისთვის პროექტი	ააიპ - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი	13985.00
პირობით მსჯავრდებულთა საზოგადოებაში ინტეგრაციისა და დანაშაულის პრევენციის მხარდამჭერი პროგრამა	ააიპ - გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი	55589.00
პირობით მსჯავრდებულთა ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა	ააიპ - საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი აფხაზეთი	29969.49
<b>ჯამი</b>		<b>63438. 56</b>

2013 წლის პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი იყო - 4 550 300 ლარი, ხოლო საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებისთვის დაიხარჯა 63 438 ლარი, მთლიანი ბიუჯეტის 1.4%.

როგორც ვხედავთ, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული შესაბამისი რესურსები საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებისთვის. მხოლოდ 2013 წელს გამოიყო გარკვეული რესურსი, რომელიც ნამდვილად ვერ ჩაითვლება საკმარისად არსებული საჭიროებების გათვალისწინებით.

2013 წელს პრობაციის სააგენტომ გამოაცხადა ტენდერი, რომელშიც კვლევაში მონაწილე ორგანიზაციებიდან ცენტრმა „აფხაზეთმა“ მიიღო მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში, მსგავსი პრეცედენტი დადებითი მოვლენაა ამ სისტემისთვის, გარკვეული ხარვეზები ამ მიმართულებითაც არსებობს. მაგალითად, კახეთსა და სამეგრელოში სამთვიანი ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამის დასრულების შემდეგ, ტენდერი სხვა რეგიონებისთვის გამოცხადდა. სამთვიანი ფსიქო-რეაბილიტაცია, სადაც მხოლოდ 20 პრობაციონერია ჩართულია, სრულყოფილად არ შეიძლება ჩაითვალოს, ეს ბევრად ხანგრძლივი პროცესი უნდა იყოს და არასამთავრობო ორგანიზაციებს მეტი ბენეფიციარის ჩართვის საშუალება მიეცეთ. მსგავსი პროექტები რეალურ შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა მხოლოდ ფორმალობაზე, აღნიშნავს რესპონდენტი. გარდა ამისა, როგორც უკვე ითქვა, პრობაციის სისტემაში შეიქმნა ფსიქო-რეაბილიტაციის დეპარტამენტი. ამ სისტემაში მომუშავე ორგანიზაციები დიდი ხანია, ამ ტიპის დეპარტამენტის შექმნას ელოდებიან და, რა თქმა უნდა, ქმედითი ნაბიჯის გადადგმა მისასალმებელია. მიუხედავად ამისა, დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ექვსი-შვიდი თვის განმავლობაში ვერ მოახერხა იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა, რომელთაც დიდი შრომა აქვთ გაწეული ამ სისტემაში და შესაბამისად, რესპონდენტის აზრით, ბუნებრივ ინტერესს უნდა იწვევდეს ამ საქმიანობის გაცნობა. მართალია, მას გადაეცა ანგარიშები, მაგრამ ეს არსებული მდგომარეობის სრულყოფილ სურათს ვერ აჩვენებს. მისივე ინფორმაციით, სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო საკუთარ თავზე სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებას აიღებს, ამიტომ მომავალში სააგენტოს მხრიდან ტენდერის გამოცხადება არ იგეგმება. თუმცა პრობლემას წარმოადგენს სისტემაში საკმარისი კადრების არარსებობა, რადგან მხოლოდ ერთი ფსიქოლოგი მუშაობს, რომელსაც როგორც არასრულწლოვან, ასევე სრულწლოვან ბენეფიციარებზე აქვს პასუხისმგებლობა აღებული. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დეპარტამენტის შექმნამ ბევრი ისეთი პრობლემა წარმოშვა, რაზეც უფრო სისტემატური მუშაობაა საჭირო.

უკვე არაერთხელ აღინიშნა, რომ მისასალმებელია პრობაციის სისტემაში ისეთი სტრუქტურული ერთეულის შექმნა, როგორც არის სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო, რომლის ფუნქციაც უნდა იყოს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზება მის წიაღში არსებულ ადამიანურ რესურსზე დაყრდნობით. თუმცა ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ადამიანური რესურსი არ არის საკმარისი საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებისთვის და საჭიროა დამატებითი რესურსების არსებობა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არსებული სტატისტიკა ამ ეტაპზე გვიჩვენებს, რომ ასეთი სახის პროგრამებზე ხელმისაწვდომობა აქვს მხოლოდ მსჯავრდებულთა 2.7%-ს, რის გამოც პრობაციის ეროვნული სააგენტოს (ზოგადად მთავრობის) მიერ გადადგმული ნაბიჯები არ არის საკმარისი არსებული საჭიროებების გათვალისწინებით.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ პროგრამული ბიუჯეტი ტრადიციული სტრუქტურის ბიუჯეტის ალტერნატივაა და იმ უპირატესობით გამოირჩევა, რომ ის დაგეგმვის პროცესიდანვე შედეგზეა ორიენტირებული. პროგრამულ ბიუჯეტში ხარჯები კონკრეტული პროგრამების მიხედვით არის დაყოფილი და უფრო თვალსაჩინოა მიზეზ-შედეგობრივი კავშირები კონკრეტულ ღონისძიებაში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მიღებულ შედეგებს შორის.

პრობაციის სისტემაში ასეთი სახის მიდგომა ხელს შეუწყობდა, რომ არსებული ისედაც მცირე რესურსები, პროგრამული ბიუჯეტირების გზით, განაწილებულიყო პრიორიტეტების მიხედვით, კონკრეტული პროგრამების მითითებით და იმის აღნიშვნით, კონკრეტული პროგრამისთვის რა

თანხა დაიხარჯებოდა. ასეთი სახის დაგეგმვა უფრო ნათლად წარმოაჩენდა სამინისტროს პოლიტიკას პრობაციის სისტემაში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარების კუთხით.

## სახელმწიფოს სტრატეგიული ხედვა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის ინიციატივით მომზადდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის 2014-2015 წლის სტრატეგია (იხ.დანართი N1) და სამოქმედო გეგმა (იხ.დანართი N2).

### სტრატეგიის მისია:

მსჯავრდებულთა და ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია, მათი პოტენციალის რეალიზებასა და სრულუფლებიან მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა, რათა, ერთი მხრივ, დაცული იყოს ადამიანის უფლებების მაღალი სტანდარტი და, მეორე მხრივ, დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემცირებით უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოება.

### რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტრატეგიული მიზნებია:

I - საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით;

II - სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული უწყებებისა და ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება, პერსონალის მომზადება და განვითარება მაღალხარისხიანი სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებისთვის;

III - სარეაბილიტაციო პროცესში მონაწილე უწყებათა და ორგანიზაციათა კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, მედიასთან და საზოგადოებასთან კომუნიკაცია რეაბილიტაციის პროცესის მხარდასაჭერად.

აღნიშნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული შემდეგი პირები - ბრალდებული, მსჯავრდებული, განრიდებული, პირობით მსჯავრდებული და ყოფილი პატიმარი.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ძირითად განმახორციელებლებს, სამიზნე ჯგუფებიდან გამომდინარე, წარმოადგენენ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

მკაფიოდ უნდა აღინიშნოს, რომ მისასალმებელია სახელმწიფოს მხრიდან ასეთი სახის დოკუმენტის შემუშავების ინიციატივა. აღნიშნული ხაზს უსვამს სახელმწიფოს დამოკიდებულებას სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარების თვალსაზრისით პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში.

აბსოლუტურად მისაღებია ის სულისკვეთება რაც ასახულია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტრატეგიაში, თუმცა ბევრ კითხვას ბადებს სამოქმედო გეგმის სტრუქტურა და მისი განხორციელების გზები.

ცოტა გაუგებარია სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება 2014-2015 წლებისთვის, ასეთი მოკლედ პერიოდით. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიზანია, ჩამოყალიბდეს სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვის და განვითარების გრძელვადიანი ხედვა. სტრატეგია უნდა ასახავდეს ამ

სისტემის განვითარების ნაბიჯებს გრძელვადიან პერსპექტივაში. ძნელად წარმოსადგენია, ამ სტრატეგიიდან გამომდინარე, რა უნდა შეიცვალოს 2015 წლის ბოლოს, ასეთ მოკლე პერიოდში. ყველა სტრატეგიული მიზანი მიღწეული იქნება, რომ ახალი კომპონენტებით შევავსოთ?

გარდა ამისა, სამოქმედო გეგმაში ასახული აქტივობები, ძირითადად, საკმაოდ ზოგადია და არ არის ჩამოყალიბებული კონკრეტული შეფასების ინდიკატორები. აქტივობები უნდა იყოს კონკრეტული, რათა შემდგომში განისაზღვროს მისი შეფასების ინდიკატორები. შეგვიძლია, სამოქმედო გეგმიდან რამოდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ:

### **სამოქმედო გეგმის პუნქტი 2.3.**

მიზანი 2014 - სასჯელის აღსრულების და გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის ორგანოებში შესაბამისი პერსონალისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცება; სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პერსონალისთვის გრძელვადიანი სასწავლო პროგრამების შემუშავება/განხორციელება; დასახელებულ უწყებებში სტუდენტების სტაჟირების პრაქტიკის დანერგვა ახალი კადრების მომზადებისა და მოზიდვის მიზნით.

ინდიკატორი - შესაბამის უწყებებში ბენეფიციარებთან მომუშავე კადრების ყოლა, რომლებიც აკმაყოფილებენ სათანადო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

გეგმის ამ პუნქტიდან აბსოლუტურად არ იკვეთება, თუ რომელ უწყებაში რამდენი კადრი უნდა შეირჩეს, რა მიმართულებებით? აქტივობა და შესაბამისი ინდიკატორი უნდა იყოს კონკრეტული, დათვლადი და გაზომვადი.

### **სამოქმედო გეგმის პუნქტი 2.4**

მიზანი 2014 - ორგანიზაციის ბაზაზე განსახორციელებელი სარეაბილიტაციო სერვისების იდენტიფიცირება და შესაბამისი პერსონალის გადამზადება; ლიცენზიის მოპოვების აუცილებლობის შემთხვევაში საჭირო ლიცენზიის მოპოვება.

ინდიკატორი - ორგანიზაციის ბაზაზე მიმდინარე პროგრამების რაოდენობა.

გეგმის ამ პუნქტიდან არ იკვეთება, თუ რა სახის და რა რაოდენობის სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვას აპირებენ? 2015 წლის ბოლოს რამდენი პროგრამა უნდა ფუნქციონირებდეს – ერთი თუ ოცდაათი?

### **სამოქმედო გეგმის პუნქტი 2.2**

ზოგადი მიზანი - რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის შესაბამისი უწყებებში ინფრასტრუქტურის შექმნა.

ინდიკატორი - პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, დანაშაულის პრევენციის ცენტრსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პერსონალისთვის არსებული სამუშაო პირობები და შესაბამისად აღჭურვილი სივრცე ბენეფიციარებთან ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისთვის.

ინფრასტრუქტურის არქონა ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზების პროცესში. გეგმის ამ ნაწილში არსად ჩანს, კონკრეტულად სად უნდა შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომელ დაწესებულებებში? რა სივრცეა საჭიროა თითოეულ ადგილას? როგორი იქნება თითოეული პროექტის ღირებულება? ბიუჯეტში თანხები გათვალისწინებულია 2014-ში, 2015-ში? და ა.შ.



გარდა ამისა, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ მტკიცებულებებს, რაც სტრატეგიაში არ ჩანს. სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ასახული აქტივობები, რომლებიც შერჩეულია, აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს რაიმე სახის კვლევას, ანალიზს და ა.შ.

აღნიშნული სტრატეგიის შემუშავებაში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციაა ჩართული. ჩვენი რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ სტრატეგია სწორი მიმართულებით ვითარდება, ნაწილს კი მის მიმართ უფრო სკეპტიკური დამოკიდებულება აქვს და ვერ ხედავენ სახელმწიფოს ერთიან სტრატეგიას, რადგან სისტემაში საგანმანათლებლო კომპონენტი სუსტად არის წარმოდგენილი.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები და სამთავრობო სტრუქტურები ერთმანეთთან კოორდინირებულად მუშაობენ. თითოეულ არასამთავრობო ორგანიზაციას აქვს ინფორმაცია სხვა სარეაბილიტაციო პროგრამების შესახებ. გარდა ამისა, ყველა რესპონდენტმა აღნიშნა „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ მიერ ინიცირებული პლატფორმა, სადაც რამდენიმე შეხვედრა მოეწყო ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის. რეგულარულად ეწყობა იმ ორგანიზაციების შეხვედრები, რომლებიც პროექტებს ევროკავშირის დაფინანსებით ახორციელებენ. გარდა ამისა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ყოველთვიურად აწყობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრებს. იუსტიციის სამინისტროში კი შექმნილია მედიაციისა და განრიდების ჯგუფია, რომელშიც, იუსტიციის სამინისტროს გარდა, განათლების სამინისტროს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც შედიან.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს სახელმწიფოს მიმართ რეკომენდაციები აქვთ, რომლებიც საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტურად განხორციელებას ხელს შეუწყობს.

პირველ რიგში, სასურველია, არსებობდეს უფრო მეტი სახელობო წრე, განსაკუთრებით არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან. ერთ-ერთი ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში შეიზღუდა რაგბის ჯგუფის ვიზიტები, რადგან ძალისმიერი სპორტისთვის არასრულწლოვანები არ არიან მომზადებულები, თუმცა ამ გაცხადებული მიზეზის მიღმა, მისი აზრით, ბევრად სერიოზული პრობლემაა – კერძოდ, დაწესებულება ნელ-ნელა ისევ ჩაკეტილი ხდება, რაც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების შეშფოთებას იწვევს. ამიტომ, უნდა გაიზარდოს მონიტორინგის სიხშირე, სასურველია თუ აღდგება საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმი, რათა დაწესებულებებში გარკვეული რისკის წარმოშობა არიდებულ იქნეს.

მნიშვნელოვანია გააზრებული პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომ სისტემა არა მხოლოდ ბიუჯეტის ათვისებაზე, არამედ რეალურ შედეგებზე იყოს ორიენტირებული. სამწუხაროდ, მსგავსი პრაქტიკა არსებობდა წინა ხელისუფლების პირობებში და ახლაც იგივე გრძელდება - აღნიშნავს ერთ-ერთი ექსპერტი. გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციებს სისტემატურობისა და სტაბილურობის განცდა არ აქვთ. იმის გამო, რომ პროექტების დაფინანსება ფრაგმენტულია, არასამთავრობოები ვერ უზრუნველყოფენ თავიანთი თანამშრომლების ანაზღაურებას, რის გამოც კარგავენ კვალიფიციურ კადრებს. სახელმწიფოს ფუნქცია ისიც არის, გამოიყენოს იმ ორგანიზაციების რესურსები, რომლებმაც თავიანთი პროფესიული უნარები აიმაღლეს და გაიძლიერეს, რაც, სამწუხაროდ, არ ხდება. გარდა ამისა, საჭიროა ისეთი პროექტების დანერგვა, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ცვლილებაზე იქნება ორიენტირებული. სასჯელაღსრულების ვალდებულებაა, შეამციროს ყოფილი პატიმრების სტიგმატიზაცია. „ეს პროგრამები პირდაპირ კავშირშია საზოგადოების დამოკიდებულებასთან, რადგან დაწესებულებიდან გამოსული ადამიანი პრობლემებს და უნდობლობას აწყდება არა მხოლოდ, ვთქვათ, შორეული ნათესავისგან, მეგობრისგან, მეზობლისგან, არამედ ოჯახის წევრისგანაც. რამდენჯერ უთქვამთ ჩვენივე, რომ ოჯახის წევრებს ვეღარ უყურებენ თვალებში, აქვს განცდა, რომ მათ არ უნდოდათ ის დაწესებულებიდან გამოსულიყო, რადგან რცხვენიათ. როცა ასეთი სტიგმაა, ამ

*ადამიანების რეაბილიტაცია წამოუდგენელია. შენ გარშემო თავს კარგად გრძნობს, მაგრამ გავა შენი გარემოდან და თავს ძალიან ცუდად გრძნობს.“*

ასევე მნიშვნელოვანია კოდექსში შეტანილი თითოეული მუხლის რეალობაში განხორცილების მონიტორინგი, ამის დამკვეთი თვითონ სამინისტრო უნდა იყოს და ხარვეზების შემთხვევაში, მოხდეს მისი გადახედვა, ცვლილება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სფეროსთან მიმართებაში სიტუაციის გაუმჯობესება. ჯანდაცვის პერსონალის გადამზადება, თითოეულ დაწესებულებაში სწორი ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების დანერგვა; სასურველია, სისტემაში სწორი მიდგომა ჩამოყალიბდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართ და არსებობდეს სპეციალიზებული პროგრამები. შრომითი თერაპია, სპორტი, განათლება და სხვა სახის სარეაბილიტაციო აქტივობები პატიმრებში ფსიქიკური პრობლემების წამოშობას შეამცირებს. ამიტომ დაწესებულების შიგნით მყოფი ადამიანის დღე უნდა იყოს სტრუქტურირებული და მათ უნდა მიეცეთ აზრიან საქმიანობაში ჩართვის საშუალება. უნდა გაიზარდოს ბიუჯეტი, რაც სისტემის შიგნით მომუშავე ადამიანების ხელფასზე აისახება, რათა სისტემაში მუშაობა ადამიანისთვის პრესტიჟული გახდეს. გარდა ამისა, სასურველია, თუ ჯანდაცვის სფერო გაიმიჯნება სასჯელაღსრულების სამინისტროსგან და ჯანდაცვის სამინისტროს დაექვემდებარება, რადგან ექიმებს და ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტებს დამოუკიდებლად მოქმედების საშუალება მიეცეთ.

ასევე აუცილებელია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; სოციალური სამსახურის მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულების გაუმჯობესება; ამ მხრივ პრობლემები, პირველ რიგში, სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის ნაკლებობაშია, სხვა პროფესიის მქონე სოციალური მუშაკი ამ სამუშაოს არ უყურებს, როგორც რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისკენ მიმართულს. უნდა გაიზარდოს კადრებიც, რადგან ერთ სოციალურ მუშაკს იმდენად ბევრი პატიმრის საქმეზე უწევს მუშაობა, რომ ფიზიკურად შეუძლებელია მათი სისრულეში მოყვანა. ორი რეჟიმის, ღიასი და დახურულის გარდა, საჭიროა რამოდენიმე რეჟიმის არსებობა, რათა პატიმარს გაუჩნდეს განცდა, რომ კარგად მოქცევის შემთხვევაში უკეთეს პირობებში გადაინაცვლებს. საჭიროა სისტემური ცვლილებები, რასაც დიდი თანხა სჭირდება, თუმცა შედეგი ბევრად გრძელვადიანი და მდგრადი იქნება.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ასეთი სახის დოკუმენტის შემუშავება წინგადადგმული ნაბიჯია სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარების გზაზე. თუმცა ზემოთ აღნიშნული საკითხების გათვალისწინების გარეშე არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ სამოქმედო გეგმაში ასახულ აქტივობებს უფრო დეკლარაციული სახე ექნება და საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარების გმელვადიან პროცესს ხელს არ შეუწყობს.